# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 3 (59)

24 იანვარი, 1992 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ასეთი ამბები ხდებოდა ზუგდიდში

„თუ ლხინი გვინდა ღმერთისაგან,
ჭირნიცა შევიწყნაროთ!“

ხალხური

**ნუგზარ ანთელავა**

**ამ წერილის ავტორს ჩვენს რედაქციამდე რომ მოეღწია, შორი გზის გამოვლა დასჭირდა. ზუგდიდიდან თბილისში ჩამოსვლა მხოლოდ ასე მოხერხდა:**

**ზუგდიდი — სოჭი.**

**სოჭი — ერევანი.**

**ერევანი — თბილისი.**

**ამიერიდან მაინც ჩვენს სამშობლოში წალმართად სიარულისათვის არაფერს შეეშალოს ხელი.**

**დანარჩენს წერილში წაიკითხავთ.**

### წინათქმა

უკანასკნელ ხანებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლებისა თუ შეიარაღებული დაპირისპირებების ფონზე აშკარად გამოიკვეთა ზუგდიდის, როგორც პოლიტიკურად მღელვარე ქალაქის სახე. ქალაქი ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდშიც კი არ ყოფილა ასეთი გრანდიოზული მიტინგებისა და მანიფესტაციების მომსწრე, როგორც იანვრის პირველ ნახევარში. სწორედ ამის გამო ზუგდიდის სახელი არ ქრება თვით უცხოეთის საინფორმაციო საშუალებების ფურცლებიდან თუ ტელე-რადიო გადაცემებიდან. მრავალი ინფორმაცია ჭორის დონეზეა მოპოვებული, ზოგიც გათიშულობისა და დაპირისპირების თესლს აღვივებს. რუსეთის ტელევიზიით გადმოცემული ინფორმაციით არათუ უცხოელს, არამედ ქართველსაც კი ისეთი შთაბეჭდილება ექმნება თითქოს ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ქართული ქალაქი კუთხურობის ნიადაგზე წარმოშობილი შინააშლილობისა და კონფრონტაციის ცენტადელს წარმოადგენდეს. მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ზუგდიდისა და საერთოდ სამეგრელოს მოსახლეობას მუდამ ერთიანი ქართული შეგნებით უცხოვრია და ასევე სულდგმულობს ამ დღეებშიც. ხალხი უბრალოდ შეურაცხყოფილად გრძნობს თავს მისი, როგორც ამომრჩევლის ნების ხელყოფის გამო და ინფორმაციული ვაკუუმის არსებობის პირობებში, ბუნებრივიცაა, ეჭვი ეპარება მომხდარი მოვლენებისა და მიმდინარე პროცესების კანონზომიერებაში. მხოლოდ ამიტომ ბობოქრობს ზუგდიდი. მწვავე პოლიტიკური მღელვარების დანთებამ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა დარაზმვის ორგანიზებამ გუშინდელი თითქმის უჩინარი დეპუტატი, დღეს კი ზუგდიდში მოქმედი ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის ხელმძღვანელი ბატონი ვალტერ შურღაია მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურად აქცია. მას და მის თანამებრძოლებს ღრმად სწამთ, რომ საქართველოში მოხდა სამხედრო გადატრიალება, რომლის შედეგად ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ხუნტამ.

ეს ზოგადად.

ქვემოთ შევეცდები ვიყო უფრო კონკრეტული; მიუკერძოებელი იმ ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემასა და შეფასებაში, რომელთა მოწმე, როგორც გარეშე პირი გახლდით 29 დეკემბრიდან 19 იანვრამდე.

### ზუგდიდი პრეზიდენტის ბუნკერში ყოფნის დროს

ზუგდიდში 29 დეკემბრის დილას ჩავედი. უკვე ჩამოესვენებინათ ძმათამკვლელ ომში დაცემულთა ერთი ნაწილი. ქალაქი დასტიროდა სამეგრელოში ცნობილი კაცის, ფრიად განსწავლული პიროვნების კონსტანტინე ჟვანიას შვილის — 75 წლის ირაკლი ჟვანიას ნეშტს, გლოვობდა თანამოძმის ხელით მოკლული ოცდაათიოდე წლის გია ესებუას.

მართალია, ყველა — პრეზიდენტის მომხრე თუ მოწინააღმდეგე (თქვენ წარმოიდგინეთ, ისინიც საკმაოდ ბლომად არიან ზუგდიდში), აფორიაქებული იყო, მაგრამ ქალაქი ისეთივე ყოველდღიურობით ცხოვრობდა, როგორც საქართველოს სხვა ქალაქები. ჩვეულებრივ მუშაობდა წარმოებადაწესებულებები, ტრანსპორტი, საკოლმეურნეო ბაზარი, ქალაქის მთელი ინფრასტრუქტურა. იანვრის პირველ რიცხვებამდე არ გამართულა არცერთი მიტინგი. მხოლოდ პრეფექტურის შენობის წინ იკრიბებოდა პრეზიდენტის მხარდამჭერთა არცთუ მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის ბრძოლებზე ინფორმაციის მისაღებად.

ქალაქი გალურსული იყო ამ ბრძოლის შედეგების მოლოდინში.

არც ახალი წელი შემოსულა თოფების გრიალში და ტრადიციული მეგრული საახალწლო სიმღერის „სადავოი კირია ლესას“ (კირილეისონის) გუგუნით. ყველა საკუთარ ჭერქვეშ ეჯდა სუფრას და გულგახლეჩილი ხვდებოდა ახალ წელს. თუ ვინმეს ოჯახში დაილია ღვინო, ერთ-ერთ პირველ სადღეგრძელოდ ძმათა ომში დაცემულთა შესანდობარი და ტრადიციულად მიღებული მშვიდობის სადღეგრძელო შეისვა. ამიტომაც ძნელი დასაჯერებელი შეიქნა ზუგდიდელთათვის (და არა მარტო მათთვის) ის ფაქტი, თუ როგორი ზარზეიმით შეხვდა ბუნკერში მსხდომი საზოგადოება ახალ წელს (თუმცა ეს ვიდეოფირი მათ არც უხილავთ). როცა მოგვიანებით ვნახე ეს ჩანაწერი, თვალებს ვერც მე დავუჯერე ზოგიერთი მამაპაპამისბატკანა აშიკი დეპუტატის საქციელის გამო, თორემ იქაური ცეკვა-თამაში უფრო გამამხნევებელ ვარჯიშს ჰგავდა, ვიდრე ლხინის ხასიათზე მყოფი ჯამაათის საახალწლო განწყობილებას. ასეა თუ ისე ბუნკერში გამართული საახალწლო ნადიმი ქართულ ცისქვეშეთში შექმნილი ვითარების ფონზე, რბილად რომ ვთქვათ, უზნეობად გამოიყურება.

დეკემბრის ბოლოს და იანვრის დასაწყისში ზუგდიდში შეიარაღებულ კაცს ვერავინ ნახავდა. ერთადერთი ის იყო, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერებმა თბილისში გასაგზავნად სახელდახელოდ გაამზადეს ხუთიოდე „ჯავშანტრანსპორტიორი“ (რკინის სქელი ფურცლებით შეფუთულ-შედუღაბებული „კამაზის“ მარკის მანქანები), რომლებმაც, როგორც ამბობდნენ, საკუთარი თავი ვერ ზიდეს და საბოლოოდ პრეფექტურის შენობის წინ დაიდეს ბინა.

### ზუგდიდი პრეზიდენტის გაქცევის შემდეგ

პრეზიდენტის გაქცევას არაერთგვაროვნად შეხვდა ზუგდიდი. თვით მისი ზოგიერთი მომხრე, პირველ ხანებში, გამსახურდიას ასეთ ქმედებას ლაჩრობად და ღალატადაც კი მიიჩნევდა, სხვანი დროებით მანევრში უთვლიდნენ პრეზიდენტს, ასე იყო თუ ისე პრეზიდენტის გაქცევას პირადად ჩემთვის და მთელი ზუგდიდისათვის ფრიად პატივსაცემი ორი მანდილოსნის სიცოცხლე ემსხვერპლა; ვერ აიტანეს მომხდარი ფაქტი. მათ გულწრფელად სწამდათ პრეზიდენტის პიროვნებისა და მისი პოლიტიკისა (ნათელში ამყოფე, ღმერთო, მათი სულები!).

პრეზიდენტის იჯვანში დაბინავებიდან რამდენიმე დღეში ზუგდიდში თავი მოიყარეს რიგმა დეპუტატებმა და შექმნეს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბატონი ვალტერ შურღაია. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში მთლიანად გაითიშა ტელეგადაცემის თბილისის არხი, რომელსაც მოსახლეობა მხოლოდ ორი დღე იღებდა. სატელევიზიო ანძასა და ადგილობრივ სადგურს შეიარაღებული პირები აკონტროლებდნენ. ქალაქში აიკრძალა პრესის გავრცელება (როგორც ამბობდნენ, გაზეთები ადგილზევე ნადგურდებოდა). ვერ ვიტყვი, რომ ქალაქის მკვიდრნი ამ ღონისძიებით კმაყოფილნი დარჩნენ. უფრო მეტიც, არ ვიცი როგორ ფიქრობდა სოფლის მოსახლეობა, მაგრამ ის კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ზუგდიდელთა დიდი ნაწილი პირში წყალჩაგუბებული დადიოდა. მიტინგზე მხოლოდ ერთხელ გაისმა უკმაყოფილების ხმა, მაგრამ ამაოდ. ტელეგადაცემების შეწყვეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშანი იყო ტელეანძაზე და სატელევიზიო ქვესადგურზე საავდასხმის მცდელობა.

ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტმა ადგილობრივი არხით დაიწყო ეთერში საკუთარი გადაცემების გაშვება. ამ გადაცემებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა უზენაესი საბჭოს წევრის ბატონ გურამ მაქაცარიას ერთი გამოსვლა, რომელშიც იგი ავითარებდა რა პრეზიდენტის მიერვე გამოთქმულ აზრს, მთელი სერიოზულობით უმტკიცებდა ზუგდიდელებს, რომ ფაქტიურად ზვიად გამსახურდიამ დაშალა საბჭოთა კავშირი. ადგილობრივი ტელეგადაცემები ძირითადად ეძღვნებოდა მოვლენის პოლიტიკურ შეფასებას, ცალკეულ მოწოდებებს დაუმორჩილებლობისაკენ, თბილისში და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ჩატარებულ პრეზიდენტის მხარდამჭერთა მიტინგების ვიდეოჩანაწერებს.

ასეთ პირობებში აღნიშნულმა კომიტეტმა მართლაც შეძლო ხალხის დარაზმვა და მათი ორგანიზებულად ჩამოყვანა ზუგდიდში გამართულ მიტინგებზე... და მოდიოდა და მოდიოდა ხალხი სამტრედიიდან, ფოთიდან, სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონებიდან, აფხაზეთიდან. მოდიოდნენ ერთადერთი სურვილით — მხარი დაეჭირათ პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლებისათვის.

დაუმორჩილებლობის კომი-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

### გაზეთ „საქართველოს“ მკითხველებს!

**ქაღალდის ფასის კატასტროფულ ზრდასთან დაკავშირებით იძულებულნი ვართ დროებით გავზარდოთ გაზეთის ღირებულება, რისთვისაც გიხდით ბოდიშს. (გაძვირება არ ეხება მათ, ვინც დროულად გამოიწერა ჩვენი გაზეთი).**

**იმედია, ჩვენი მკითხველი 2 მანეთის გადახდის გამო არ მოიძულებს „საქართველოს“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასეთი ამბები ხდებოდა ზუგდიდში

(დასასრული)

ტეტის მოწოდებით ქალაქში გაიფიცა ყველა წარმოება-დაწესებულება გარდა პურის საცხობი ობიექტებისა და სამედიცინო დაწესებულებებისა, ხოლო 15 იანვრიდან ფაქტიურად დაიხურა საკოლმეურნეო ბაზარი.

ამ დროისათვის უკვე აყრილი ...ყო რკინიგზა, ტრასას ზუგდიდი-... ცხენისწყლის სანაპირომდე ...რადებული მოპიკეტეები ...როლებდნენ.

...ვლების ქრონიკის მეტად ... ფურცელი გახლდათ ...ლგაზრდის ბნელით მო... ...იკვდილი. ერთ მშვენიერ ...ღეს ქალაქში გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა, ყველა შიშმა მოიცვა. შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ქალაქის ერთ განაპირა მხარეს „კამაზის" მარკის მანქანა აფეთქებულიყო. შემთხვევის ადგილზე მისულს, საზარელი სურათი დამხვდა: ამ ვეება მანქანიდან სულ რამდენიმე რკინის ნატეხილა დარჩენილიყო. ასე დასამარდა ცასა და მიწას შორის სამი ახალგაზრდა. მიცვალებულის ნაცვლად ჭირისუფალმა ახალგაზრდების ნატარები სამოსი დაიტირა. ოპოზიცია გავანადგურეთო — უთქვამს ვიღაცას პრეფექტურასთან შეკრებილი ხალხისთვის, ტაშის გრიალი ამტყდარა. მალევე გაირკვა, რომ ისინი ოპოზიციონერები კი არა, პრეზიდენტის მომხრენი ყოფილან, შეშლიათ... ერთ მათგანს ხელისუფლების დასაცავად თბილისშიც უბრძოლია. შემდეგ გამოუცხადებიათ, ისინი ჩვენი ხალხი იყო, მანქანაზე დიდძალი ასაფეთქებელი ნივთიერება ელაგა და აუფეთქდათო. არავინ იყო სიმართლის გამკითხავი. ერთ-ერთ ჭირისუფალს ისიც კი უთქვამს — არაფერი მინდა, მხოლოდ მოღალატედ ნუ გამოაცხადებენო.

ქალაქში განუკითხაობამ და ისტერიულმა შიშმა დაისადგურა. საღამოს 6 საათის შემდეგ ზუგდიდი მკვდარ ქალაქს ჰგავდა.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!

უფრო გახშირდა უკანასკნელ ხანებში ისედაც გახშირებული ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა, ოჯახებზე თავდასხმები, მითუმეტეს, რომ ზუგდიდის იზოლატორიდან განთავისუფლებული იყო ყველა პატიმარი. თავს იკლავდა თურმე ერთი არაქართველი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ზუგდიდის შემოსასვლელში მანქანაც წაართვეს, დიდძალი ფულიც და ცოლიც თვალწინ გაუუპატიურეს.

ვაი ჩვენო ზნედაცემულო სულო!

## ზუგდიდი პრეზიდენტის მოლოდინში

16 იანვარს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა მთელ ქვეყანას ამცნო, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დატოვა, რა სომხეთის ტერიტორია, გროზნოს გავლით სოხუმში ჩაფრინდა და ზუგდიდს მიაშურა. მათივე ცნობით გამსახურდიამ ჩეჩნეთის დელეგაციის მონაწილეობით მოლაპარაკება გამართა აფხაზეთის ხელისუფლებთან აფხაზურ-მეგრული რესპუბლიკის შექმნის თაობაზე, ხოლო შემდეგ გამოვიდა რა ზუგდიდში გამართულ მიტინგზე, ხალხს მოუწოდა გაელაშქრათ დედაქალაქისაკენ. ამ ინფორმაციიდან ფაქტია, რომ გამსახურდია ნამდვილად ჩამოვიდა სოხუმში, ხოლო წამოვიდა თუ არა იგი ზუგდიდის მიმართულებით ეს პრეზიდენტთან დაახლოებულმა პირებმა თუ იციან.

ერთი რამ კი ცხადია, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, ზვიად გამსახურდიას ზუგდიდში ფეხი არ დაუდგამს, არც იქ გამართულ მიტინგზე გამოსულა და, ბუნებრივია, არც არანაირი მოწოდებით არ მიუმართავს მომიტინგეებისთვის.

ამაოდ ელოდა ზუგდიდი და იქ შეკრებილი ასიათასამდე კაცი პრეზიდენტს.

მინდა დავარწმუნო მკითხველი და მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ზუგდიდში გამართულ მიტინგებზე არ ყოფილა არავითარი მოთხოვნა სამეგრელოს გამოყოფისა თუ მეგრულ-აფხაზური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. პირიქით, ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელის ვალტერ შურღაიასა და სხვათა გამოსვლებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სამეგრელო არის საქართველოს ისეთივე განუყოფელი ნაწილი, როგორც კახეთი, ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, და სხვა ისტორიულ — ეთნოგრაფიული პროვინციები.

მაგრამ ...

მაგრამ არის ერთი ძლიერ არასახარბიელო ფაქტი.

## „საიდუმლო სერობა" ხობში.

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ პრეზიდენტის ბუნკერში ყოფნის პერიოდში საგულდაგულოდ მუშავდებოდა ერთი საკითხი — მარცხის შემთხვევაში პრეზიდენტის დასავლეთ საქართველოში გამაგრებისა ისე, რომ რიკოთის უღელტეხილის ჩაკეტვით მის კონტროლს დაქვემდებარებოდა მთელი ეს რეგიონი და შემდეგ, არ ვიცი პოლიტიკური და ეკონომიკური დაწოლისა თუ შეიარაღებული ძალის მეშვეობით, კვლავ განევრცო თავისი ძალაუფლება დანარჩენ საქართველოზე. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა ხობის რაიონის პრეფექტურაში პრეფექტის მოადგილის ვინმე ბებურიას თაოსნობით შემდგარი თათბირი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები. თათბირზე პრეფექტის მოადგილემ დაახასიათა რა საქართველოში შექმნილი ვითარება, კენჭისყრაზე დასვა საკითხი სამეგრელოს გამოყოფის თაობაზე, რასაც თათბირის მონაწილენი, რასაკვირველია, არ დაეთანხმნენ და მოსთხოვეს ბებურიას განემარტა მათთვის რა იყო მიზეზი საკითხის ასეთი დასმისა ან საიდან მოდიოდა ეს იდეა. ბებურიას არავითარი განმარტება არ მიუცია, მხოლოდ აღუნიშნავს, რომ მსგავსი კრებები სამეგრელოსა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც ჩატარდებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი შედგებოდა ქუთაისში, სადაც, როგორც ჩანს, საბოლოოდ გაფორმდებოდა დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთიდან გამოყოფის საკითხი. ამ აბსურდულ იდეას განხორციელება არ ეწერა, რადგან მას არც სამეგრელოს და არც იმერეთისა და გურია-აჭარის მოსახლეობა, ბუნებრივია, მხარს არ დაუჭერდა.

მართალი გითხრათ, დიდი შიში მქონდა იმისა, რომ დროებით მთავრობას ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკური განადგურების მიზნით მანიპულაციის საგნად არ ექცია „მეგრელთა საკითხი" და ამ კუთხის ჭეშმარიტად ქართული სულისკვეთებით გამსჭვალული მოსახლეობისათვის არ დაეპირისპირებია დანარჩენი საქართველო... მადლობა ღმერთს, არც სამხედრო საბჭოსა და არც დროებით მთავრობას მსგავსი რამ არ განუზრახავს. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გავიგე თუ როგორ ცდილობდნენ პრეზიდენტის მიერ „კრიმინალურ ინტელიგენტებად" შერაცხული ერის საუკეთესო შვილები ან ტელევიზიით ან პრესით არ გაპარულიყო სამეგრელოსთვის გულსატკენი რაიმე ინფორმაცია.

ეყო სამეგრელოს ლავრენტი ბერიასთან ანგარიშსწორების მიზნით 1952 წელს შედგენილი, ერთიანი ეროვნული ხერხემლის გადამტეხი, ყოვლად სამარცხვინო დოკუმენტით ე. წ. „მეგრელთა საქმით" მიყენებული მოუშუშებელი ჭრილობები. არც ზვიად გამსახურდიას შეიძლება გადააყოლო კაცმა საქართველოს ძირძველი კუთხე და მისი ალალი მოსახლეობა, მითუმეტეს რომ თვით ამ კაცისგან დიდადაა გულნატკენი სამეგრელო.

საქმე ისაა, რომ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 1989 წლის 3 ნოემბრის ნომერში დაისტამბა ზვიად გამსახურდიას წერილი „სამეგრელოს საკითხი". ავტორი ამტკიცებდა, რომ სამეგრელოში მუდამ იყო და დღესაც არის აფეთქებასაშიში სეპარატისტული განწყობა. დაბეჯითებით ამბობდა, რომ ფოთსა და გალში მოქმედებენ იატაკქვეშა ორგანიზაციები, რომელთა მიზანს შეადგენდა სამეგრელოს პრობლემის გადაწყვეტა, ხოლო „სოხუმში შეიქმნა „სამეგრელოს აღორძინების კომიტეტი", რომელიც უშვებს პროკლამაციებს, სადაც ამტკიცებს, რომ სამეგრელო თურმე საქართველოს მიერ არის დაპყრობილი, რომ მან უნდა შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო..." (იხ. ზ.გამსახურდია — „სამეგრელოს საკითხი", წერილი მეორე. „ლიტ. საქართველო", 1989 წ. 22 დეკემბერი).

წერილში აღძრული ყალბი, ბუნებაში არარსებული პრობლემის დასმა, მაშინ გამსახურდიას თავისი შორსმიმავალი პოლიტიკური მიზნებისათვის დასჭირდა. საქმეში ჩაუხედავი კაცი კი იფიქრებდა — ვაითუ დროზე არ მივხედეთ საქმეს, სამეგრელო ხელიდან გამოგვეცლებაო. მაგრამ დახეთ, როგორც კი საშიშროება იგრძნო პრეზიდენტმა, მაშინვე მიჰყო ხელი საქართველოს დამლადაქუცმაცებას.

მახსოვს, როგორი გულნატკენი და გაოგნებული იყო ამ წერილით სამეგრელო, და თუ აპატია ზვიად გამსახურდიას, აპატია იმიტომ, რომ ხელი არ შეეშალა აღმავლობის გზაზე შემდგარი ეროვნული მოძრაობისათვის. ერთადერთი საპასუხო წერილი, რომელიც იმავე გაზეთის 1990 წ. მარტის ნომერში გამოაქვეყნა მწერალმა ზაურ კალანდიამ სათაურით „მართალს ვიტყვი" იცავდა მეგრელი კაცის შეგინებულ ღირსებას ისეთი ტაქტით, რომ გამსახურდია და მისი ბრალდებები ... ნახსენები.

ქართველი კაცი ისევე, როგორც ყველა ქრისტიანი, მიმტევებელია თავისი ბუნებით და დაივიწყა კიდეც სამეგრელომ ეს წყენა. მეც მიტევებას ვითხოვ ამ საკითხის კვლავ წამოჭრისათვის.

## ბოლოთქმა

„ქართვლის ჭირსა ვერვინ მოთვლისო" — XVIII საუკუნეში ამბობდა პოეტი. მოკიდებული იმჟამიდან დღემდე ჭირი ჭირზე ემატება საქართველოს. ჭირის დღეები გვიდგას დღესაც, გლოვა გვმართებს ჩვენი შვილების, დებისა და ძმების. უნდა გვახსოვდეს, რომ მათ სიკვდილში თითოეულ ჩვენგანს უდევს წილი; ათასგზის მეტი გონიერებაა საჭირო, რათა საუკუნო გლოვაში არ აღმოჩნდეს ჩვენი დაღლილ-დაქანცული და გაპარტახებული ქვეყანა. ჩავაგოთ ხმალი ქარქაშში, გავმაგრდეთ, რას ვიზამთ, „თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირნიცა შევიწყნაროთა!"

P. S. ზუგდიდიდან 19 იანვარს გამოვემგზავრე. ვინაიდან ტრანსპორტი არ იყო, გადავწყვიტე სოჭიდან ერევანში ჩაფრენა და იქიდან თბილისში მოხვედრა. სოჭი-ერევნის თვითმფრინავში სომეხთა შორის ერთადერთი ქართველი ვიყავი. გზად, ერთი სომეხი ლაპარაკში ხშირად გამსახურდიას ახსენებდა (გვარი გარკვევით მესმოდა), დანარჩენები ხორხოცებდნენ. სიმწრის ოფლი მასხამდა და სინანულის ცრემლი მაწვებოდა თვალებში, ჩემს ერს საქართველოს ისტორიაში პირველ და, ალბათ, უკანასკნელ პრეზიდენტს უგინებდა სომეხი. სინანულის ცრემლი მომადგება, ალბათ, ყოველთვის, როცა გამახსენდება დღეს მოარული ერთი ფრაზა: „გამსახურდიამ დაკარგა ისტორიული შანსი საქართველოს ისტორიაში შესულიყო, როგორც მეორე დავით აღმაშენებელი". XX ს. ისტორიაში, ალბათ, იშვიათია უფრო ტრაგიკული პიროვნება, ვიდრე ზვიად გამსახურდია და უფრო ტრაგიკული ერი, ვიდრე იმედგაცრუებული ქართველი ერი.

P. P. S. კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა მკითხველო, მაგრამ იმას, რა ბალღამიც ამდევნებია, რაც ჩემი თვალით ვნახე და განვიცადე, ბოლომდე კარგა ხანს ვერ ამოვთქვამ, ქაღალდზე ვერ გადავიტან, რა ვქნა, ზუგდიდელი კაცი ვარ და, ცხენი შეკაზმულიც რომ მყავდეს, ჩემს ქალაქს მაინც ვერსად გავექცევი...

# ფიქრები აწმყოსა და მომავალზე

(ინტერვიუ ბატონ ნოდარ ნათაძესთან)

— როგორ აფასებთ უკანასკნელი თვენახ ერის მოვლენებს?

— ახლ ა არაა შეფასების დრო. ახლა საქართველო ს გადარჩენის დროა. შეფასება ისტორი ა მივანდოთ, აგრეთვე იმათ, ვინც ქვეყნად იქნება და ასპარეზზე იქნება ცოტა უფრო ... ვთქვათ — რამდენიმე თვის შემდეგ. ერთი რამ შემიძლია ნამდვილად ვთქვა: იმ სხვებს ბევრი მწარე ჭეშმარიტების თქმა დასჭირდებათ — ბევრად უფრო მწარისა ვიდრე, ახლა გვგონია.

— როგორ ხედავთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას?

— ძალიან მძიმედ, მძიმედ. პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ ჩვენ თვითონ გვაკლია გამჭრიახობა და ფაქტების დანახვის უნარი. ეს არ არის ლიტონი პაციფისტური სიტყვები, არამედ რეალობისთვის თვალის გასწორების სურვილია. აბა თავადვე განსაჯეთ: ჩვენ ჩრდილოეთიდან გვყავს მეზობელი, რომლის ხელშიც არის მსოფლიოს უდიდესი სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი, აგრეთვე მსოფლიოში უდიდესი არსენალი გამოუყენებელი იარაღისა. მას ჰყავს საქართველოში სამხედრო ნაწილები. ახლა მე გეკითხებით: შეუძლია თუ არა მას ერთმნიშვნელოვნად მართოს — მე ხაზს ვუსვამ: სავსებით ერთმნიშვნელოვნად, ანუ სხვის დაუკითხავად — საქართველოში მომხდარი ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობა? მას შეუძლია მართოს იარაღის შავი ბაზარი, ანუ არაოფიციალური ბაზარი: გამოიტანოს ან არ გამოიტანოს ამ ბაზარზე თავისი საქონელი, გააიაფოს ან გააძვიროს იგი, გააადვილოს ან გააძნელოს მისი შოვნა. მას შეუძლია იარაღი იქ მიიტანოს, სადაც მას ერთი მეომარი მხარე დაინახავს და იყიდის, ან, პირიქით, იქ მიიტანს, სადაც მას მეორე მებრძოლი მხარე დაინახავს. ერთი სიტყვით, მას შეუძლია ნებისმიერ საათს და ნებისმიერ წუთს შეატრიალოს ძმათა სისხლისმღვრელი „ომის" ბედი, თუნდაც იმით, რომ ერთ-ერთ მხარეს, რომელიც აგებს, უცბად გადაუგდოს იაფად რამდენიმე ტანკი ან ჯავშანტრანსპორტიორი, რომელიც საკმარისი იქნება, რათა დამარცხებული გამარჯვებულად აქციოს და პირუკუ. უფრო მეტიც. მას შეუძლია ისე არეგულიროს ჩვენი ომი, რომ ორივე მხარე თანდათანობით „გაძლიერდეს" (ვაი ამ გაძლიერებას), მაგრამ ერთმანეთის თანასწორი დარჩეს, და ამით გააფართოოს, გაადიდოს კონფლიქტის მასშტაბი. ახლა ისიც იანგარიშეთ, რომ მის ხელშია პური, გაზი, ფულის ნიშნები, ბენზინი, შაქარი, ელექტროენერგია. როგორც ხედავთ, მას ძალიან ბევრი რამ შეუძლია. არის მხო-

(გაგრძელება მე-8 გვ.)

# ფიქრები აწმყოსა და მომავალზე

(დასაწყისი მე-2 გვ.)

ლოდ ერთი რამ, რაც მას არ შეუძლია. მას არ შეუძლია, ძალით გვაიძულოს, რომ ერთმანეთს ვესროლოთ. ამიტომაც, იგი ყოველთვის ეცდება, ნებით გვასროლინოს ერთმანეთისათვის, და ამისთვის ყველა საშუალებას გამოიყენებს: პროვოკაციას, მოსყიდვას, აგენტურის მიერ ცხოვრების დესტაბილიზაციას, ყალბი „გმირებისა“ და უფსკრულისკენ წამყვანი „ლიდერების“ შექმნას, ტერორს, სხვათა სახელით ბოროტმოქმედებების ჩადენას. ეჭვი არ შეგეპაროთ, იგი ყველაფერ ამას იზამს, მაგრამ ჩვენ არ უნდა ავყვეთ, თუ ჩვენი ქვეყნის დაქცევა არ გვინდა, საქართველოში სამოქალაქო ომი არ უნდა მოხდეს! ის, რაც უკვე მოხდა, ომი არ იყო. ეს იყო სისხლისმღვრელი კონფლიქტი, რომელმაც დაახლოებით 200 (და ეგებ მეტი) რჩეული ქართველის სიცოცხლე შეიწირა. ომი ახლალა გველის. ცხადია, ამ ომში არც გამარჯვებული იქნება ვინმე და არც უდანაშაულო.

— თქვენი სიტყვებიდან ჩანს, რომ უეყოყმანოდ გწამთ ჩრდილოეთის ხელის მონაწილეობა ამ ამბებში, რაც საქართველოში ხდება. მოგეხსენებათ, რომ ამგვარი რწმენა ყოველთვის რეალისტური არ არის და ხშირად ყურადღებას გვიდუნებს ხოლმე, გვისუსტებს მომთხოვნელობას ჩვენი თავის მიმართ. მაგალითები საძებარი არა გვაქვს. თქვენც მოწმე ბრძანდებით, რომ საქართველოს პრეზიდენტი მზად იყო თავისი პოლიტიკის ყველა მარცხი და შეცდომა „კრემლისთვის“ დაებრალებინა. ხომ არ ვარდებით თქვენც იმავე შეცდომაში?

— დიახ, ეს რწმენა ზოგჯერ რეალისტური არ არის და დავძენ: არც გულწრფელი, მაგრამ ზოგჯერ იგი რეალისტურიცაა და გულწრფელიც. მე კითხვას გავყოფ ორ ნაწილად. პირველი: სჭირდება თუ არა რუსეთს საქართველოს შენარჩუნება ამა თუ იმ ფორმით თავის იმპერიულ სისტემაში? და მეორე იღებს თუ არა იგი ამისთვის პრაქტიკულ ზომებს? პირველ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: დიახ, სჭირდება. პირველ ყოვლისა, იმიტომ სჭირდება, რომ თავის ღია თუ ფარულ დაპირისპირება-მეტოქეობაში დასავლეთთან, რაც რუსეთის წარსულიდან მომავალი ისტორიის თვით დედაარსია, რუსეთი ემყარებოდა და მომავალშიც დაემყარება ტერიტორიულ უპირატესობას, რის გამოც იგი ორგანულად დაინტერესებულია, რომ საქართველო მის ორბიტაში იმყოფებოდეს ამა თუ იმ ფორმით. მეორეც, რუსეთმა თუ დაკარგა უკრაინის სანაპირო და საქართველოს სანაპირო, მას ძალიან მცირე მონაკვეთი რჩება შავ ზღვაზე გასასვლელად, რის შედეგადაც იგი კარგავს არა მარტო შავი ზღვის სამხედრო გიგანტის, არამედ ხმელთაშუა ზღვის გიგანტის სტატუსსაც. მაშასადამე — მსოფლიო პოლიტიკაში მონაწილეობის ერთ-ერთ ბერკეტს. მესამეც, როგორც კი საქართველო რუსეთის ორბიტას გაეცლება, იგი ხდება დასავლეთის ფორპოსტი აღმოსავლეთში, ანუ დასავლეთის სამყარო სოლად შემოდის რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან, რუსეთსა და ისლამურ აღმოსავლეთს შორის, რომელიც რუსეთისთვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოტენციური (და არა მხოლოდ პოტენციური) მოკავშირეა, მის გეოპოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ დაპირისპირებაში დასავლეთთან (იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამხედრო დაპირისპირება დროებით მოიხსნა). ამგვარად, რუსეთისთვის უმჯობესია, საქართველოს ადგილზე ზღვა გაჩნდეს, ვიდრე თავისუფალი საქართველო. ახლა მეორე კითხვა. იღებს თუ არა რუსეთი ზომებს, რათა საქართველო თავის დაქვემდებარებაში შეინარჩუნოს. ე. წ. „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეა და მისი დროებით — ხაზს ვუსვამ: დროებით — შერბილებული სახეა. ერთობლივი საზღვრები, საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, ერთიანი „ეკონომიკური სივრცე“, ფაქტობრივად, ერთ სახელმწიფოდ ყოფნას ნიშნავს. ის ყალბი „წონასწორობა“, რომელიც ამ „თანამეგობრობით“ მყარდება თითქოს, ჩვენს ინტერესებსა და რუსეთის ინტერესებს შორის, არამდგრადი წონასწორობაა. იგი გარდუვალად უნდა დაირღვეს, სულ მოკლე ხანში, ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ და ეჭვი არაა, რომ იგი რუსეთის სასარგებლოდ დაირღვევა. ის შედარებით სუსტი ძაფები, რომელთაც დღეს უნდათ ჩვენი მიბმა რუსეთის სახელმწიფო მანქანაზე, სულ მალე ისევ ჯაჭვებად იქცევა და რუსული იმპერია, სხვა სახელით, ისევ აღდგენას მოინდომებს. სასურველს ველარ მიაღწევს, ცხადია, მაგრამ ამ გზაზე ბევრ ნაბიჯს გადადგამს. ამიტომაც — თუნდ კონკრეტული ფაქტები არ გვქონდეს ხელთ — მაინც უფლება გვაქვს წმინდა ლოგიკური დასკვნისა, რომ ჩვენი ხელოვნური უბედურების უკან ჩვენი „თანამეგობრობაში“ შეთრევის გეგმა დგას. ფაქტები, როგორც მოგეხსენებათ, ბევრია, ეთნოკონფლიქტების ორგანიზაციით დაწყებული და დღევანდელი მრავალრიცხოვანი პროვოკაციებით დამთავრებული.

— თუ არ ვცდები, თქვენ „თანამეგობრობაში“ საქართველოს შესვლის კატეგორიული წინააღმდეგი ხართ.

— დიახ, ვარ. „თანამეგობრობა“ ახალი იმპერიული უღელია საქართველოს ყელზე. თავიც რომ დავანებოთ ზემოხსენებულ პერსპექტივას — რბილი „თანამეგობრობის“ თანდათანობით ქცევას მკაცრ იმპერიად — თანამეგობრობაში შესვლა დაუშვებელია თუნდაც იმიტომ, რომ იგი ნიშნავს საქართველოს ჩართვას ყოფილ სოციალისტურ სამყაროში, რომელმაც, მართალია, სოციალიზმი უკუაგდო, მაგრამ ამით ვერ მოიპოვა რაიმე რეალური შანსი, რომ თავისი დონით და განვითარების ტემპებით დასავლეთისას გაუსწორდეს, იმ დროს როცა „თანამეგობრობის“ გარეთ დარჩენა საქართველოს, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და კულტურული ტრადიციის მიხედვით, დასავლეთ სამყაროში ყოფნას უქადის, რაც, ფაქტობრივად, თანამედროვე კეთილდღეობის ქვეყნად ქცევის ერთადერთი გზაა. მაგრამ მთავარი მაინც სხვაა. თანამეგობრობაში შესვლით საქართველო კარგავს თავისუფლებას და უთანაბრდება იმ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, სადაც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა სულაც არ ყოფილა, ანუ აღიარებს იმას, რომ 1989 წლიდან დღემდე დაღვრილი სისხლი და ოფლი ამაო ყოფილა!

— როგორ მიგაჩნიათ შესაძლებლად სამოქალაქო ომის აცილება?

— ყველაზე მარტივი საშუალებაა გამსახურდიამ უარი თქვას თავისი თანამდებობის იარაღის ძალით დაბრუნების მცდელობაზე. ამ მცდელობას ნამუსიანი საფუძველი ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ გამსახურდია ძლიერი და ნიჭიერი მმართველი იყოს და საქართველოს მისი ხელი სჭირდებოდეს. მაგრამ მან თვითონ კარგად იცის, რომ არა მხოლოდ არადემოკრატიული, არამედ ამავე დროს, ძალიან სუსტი, უუნარო მმართველია და საქართველოს ვერასოდეს ვერც ერთ გამარჯვებას ვერ მოუტანს, ისევე როგორც დღემდე არ მოუტანია. მარტო ის რად ღირს, რომ შიდა ქართლის ქართველი მოსახლეობა უპატრონოდ მიატოვა და არც ისე მრავალრიცხოვანი მტრისაგან მისი დაცვის საქმე ვერ აწყო! მაგრამ გამსახურდია არც გადადგა, არც გადადგომას აპირებს, ვინაიდან მას თავისი ხელისუფლება საქართველოს ბედზე უფრო დიდად უღირს. ამგვარად, სამოქალაქო ომის აცილების ეს ყველაზე მოკლე გზა ჩვენს ქვეყანას გადაკეტილი აქვს, ერთის მხრივ არის კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის დიდ ნაწილს არ უნდა იმიტომ, რომ იგი ცუდი პრეზიდენტი გამოდგა, მეორე მხრივ, არის სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა, რომელიც ქვეყნის მეორე ნაწილს არ უნდა იმიტომ, რომ იგი ძალით არის მოსული ხელისუფლების სათავეში. დაბოლოს, არის მესამე ნაწილიც, არც ერთს უცხადებს ნდობას და არც მეორეს, ვინაიდან ორივეს ბრალს სდებს ძმათა სისხლისმღვრელი კონფლიქტის შექმნაში და ორივეზე ეჭვი აქვს, რომ საქართველო, საბოლოო ანგარიშით, „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“, ანუ განახლებულ საბჭოთა კავშირში შესვლისკენ მიჰყავთ. ამ ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთი ქმედითი და ამავე დროს სამართლიანი საშუალება ისაა, რომ შეიქმნას სრულებით ახალი კანონიერი ხელისუფლება, ანუ მოხდეს საქართველოს პარლამენტის ახალი არჩევნები უმოკლეს ვადაში. მანამდე, როგორმე უნდა მივიტანოთ ჩვენი არსებობა უსისხლოდ და უმსხვერპლოდ. ეს ძალიან ძნელია, მაგრამ სხვა გზა არ მოგვეპოვება.

— საქმეც ისაა, თუ როგორ მივიტანოთ ჩვენი ქვეყნის ცხოვრება მანამდე. ვინ უნდა მართოს საქართველო ამ ხნის მანძილზე? ან ვინ უნდა ჩაატაროს საპარლამენტო არჩევნები?

— დღეს არსებული ხელისუფლება რეალური ძალაა. ფაქტობრივად, ერთადერთი ან თითქმის ერთადერთი. ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაეწიოს. ამიტომ — და მხოლოდ ამიტომ — დღეს მას ხელი უნდა შეეწყოს ყველა ღონისძიებაში, რომელიც მიმართული იქნება საქართველოში სტაბილიზაციისა და მშვიდობისაკენ და ამავე დროს არ შელახავს მოქალაქეთა სიცოცხლეს. მაგრამ ამ ხელისუფლებამ მთელი თავისი შემადგენლობით, რომელიც აქამდე მომხდარ ამბებში მონაწილეობდა, უნდა ღიად განაცხადოს, რომ საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისთანავე იგი წავა სახელმწიფო მმართველობის ასპარეზიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი აირჩევა სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში ან არჩეული პარლამენტი მის დანიშვნას მოინდომებს. ეს ამ ხელისუფლებამ უნდა თქვას ისე, რომ ხალხმა დაიჯეროს, და როცა დრო მოვა, უნდა შეასრულოს კიდეც. თუ თქვენს თავზე იღებთ შეიარაღებული ბრძოლის დაწყებას ქვეყნის დამღუპველი დიქტატურის წინააღმდეგ, ხალხს იმის გარანტია მაინც უნდა ჰქონდეს, რომ ეს პოლიტიკური ანგარიშის გარეშე ჩაიდინეთ. თორემ თუ ამ ბრძოლის შედეგად ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ, მაშინ ეს იქნება ომი ხელისუფლებისათვის და არა ქვეყნის ხსნისათვის. როგორც მოგეხსენებათ, წესრიგის დაცვაში ჩაება მილიციაც. მართალი გითხრათ, არც მას ვენდობი, რომ გულით იმუშავებს, მაგრამ წესრიგის დაცვის სხვა ფორმებს მილიციის მიერ დაცვა მაინც სჯობია. ასეა თუ ისეა მას პარალელურად მოსახლეობის თვითორგანიზაცია უნდა მოჰყვეს. სოფელმა, უბანმა თვითონ უნდა დაიცვას თავისი თავი ორგანიზებული წესით. იმ ანარქიის პირობებში, რომელშიც ვართ და რომელიც გველის, თავდაცვის ამ ფორმას სხვა ვერაფერი შეცვლის.

თქვენ მეკითხებით, ვინ უნდა ჩაატაროს საპარლამენტო არჩევნები. არჩევნები უნდა დანიშნოს ან არსებულმა უზენაესმა საბჭომ, რომელიც ამისთვის უნდა შეიკრიბოს ერთხელ მაინც, ან ეროვნულმა კრებამ, რომელიც შემდგარი იქნება ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისაგან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოს დეპუტატებისგან ან სხვა დონის დეპუტატებისაგან, რაიონების, ეროვნულ უმცირესობათა, სტუდენტური და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიების, აგრეთვე სხვა ალმსარებლობის რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელბისაგან. ეროვნული კრების მოსაწვევად უკვე მუშაობა მიმდინარეობს. არჩევნები უნდა ჩაატაროს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ხოლო ადგილზე საჭირო სამუშაო უნდა შეასრულონ იქ არსებულმა ყველა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ძალებმა, ყველა ჯანსაღად მოაზროვნე პიროვნებამ. თუ ეს არჩევნები ვერ ჩატარდა, ჩვენ მუდმივი ქაოსი გველის.

— მაპატიეთ, კიდევ გაგიმეორებთ კითხვას. გასაგებია, რომ კანონიერი ხელისუფლება საქართველოში მომავალმა საპარლამენტო არჩევნებმა უნდა შექმნას. ეს არჩევნები, როგორც გავიგე, მაისის ბოლომდე მაინც უნდა ჩატარდეს. მაგრამ როგორ მივიტანოთ თავი მანამდე? როგორ ავიცილოთ ომი და როგორ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ინტერესები ამ არჩევნებამდე?

— ჩემს პირად აზრს მოგახსენებთ, რომელზეც ჩემს გარდა არავინ პასუხისმგებელი არ არის. შესაძლებელია, დროებითი ხელისუფლება მოელაპარაკოს იმათ, ვინც დღეს ფაქტობრივად მართავს მდგომარეობას საქართველოს იმ რაიონებში, რომლებიც დროებით ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებენ. შესაძლებელია, რომ ამ რაიონების მართვა დროებით, არჩევნებამდე განახორციელონ ისევ იმათ, ვინც დღეს მართავს, ოღონდ ერთიანი, თბილისში შემუშავებული წესით. მაგალითად, გადაუდებელია მიწის დარიგება სოფლის მცხოვრებთათვის და ეს დარიგება, პირველ ყოვლისა დასავლეთ საქართველოს რაიონებში უნდა დაიწყოს. ამ ოპერაციის გადადება არ შეიძლება, ვინაიდან გაზაფხული მოდის. იმ პიროვნებამ, ვინც დღეს რაიონს მართავს, უნდა აიღოს თბილისში სათანადო უწყების მიერ შემუშავებული ინსტრუქცია და დაიწყოს მისი განხორციელება თავის რაიონში. ასევე, შესაძლებელია იმავე პიროვნებებმა განახორციელონ საპარლამენტო არჩევნების მომზადება ერთიანი ინსტრუქციით, ან ეროვნული კრებისათვის წარმომადგენელთა შერჩევა. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს, შესაძლოა, უახლოეს ხანს დიდი ბრძოლა ელის — ბრძოლა კი არა, ნამდვილი სამამულო ომი — მტრის წინააღმდეგ, რომელიც მიწა-წყალს გვეცილება — შიდა ქართლში. ამაზე იყო საქართველოს საგარეო სამინისტროს განცხადება და მე მას სავსებით ვეთანხმები. თუ ამ აგრესიაში ჩვენს წინააღმდეგ მონაწილეობა მიიღო რუსეთმა, რომელიც, ჭერჭერობით, პასიურად უყურებს ამ ანტიქართულ მოქმედებას მისი სახელის გამოყენებით, მაშინ ზემოხსენებულ რაიონებში მოხალისეთა მოგროვებაც ან მობილიზაციაც საერთოეროვნულ საქმისთვის ალბათ, იმავე პიროვნების ხელით უნდა მოხდეს. ყველას არ ვიცნობ, ვინც დროებითი ხელისუფლების არმცნობ რაიონებს დღეს მართავს, მაგრამ ზოგს ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, ისინი შეეცდებიან ჩვენს ქვეყანას სისხლის ნიაღვარი ააცდინონ. მაგალითად, ვიცნობ და პატივს ვცემ დეპუტატებს ვ. შურღაიას და ზ. ქობალიას. თუ მოხდება მათთან დროებითი მთავრობის წარმომადგენელთა მოლაპარაკება, მე მზად ვარ ხელი შევუწყო მას, როგორც მეთვალყურემ.

სხვა შესაძლებლობაც არის — ეგებ ცოტა უტოპიური: ზ.გამსახურდიამ ხელი აიღოს საპრეზიდენტო უფლებამოსილებაზე და დანიშნოს ხუთი წევრი სახელმწიფო საბჭოში — უმაღლეს დროებით ორგანოში, რომელიც განახორციელებს მართვას, მინისტრთა კაბინეტის წევრების დანიშვნის ჩათვლით, მანამდე, სანამ, არჩევნები ჩატარდებოდეს. სხვა ხუთ წევრს დანიშნავს თ.სიგუას მხარე, ხოლო მეთერთმეტე წევრიც, ურთიერთშეთანხმებით იქნება ვინმე ავტორიტეტული პიროვნება, რომელსაც უკანასკნელი თვეების მანძილზე პრაქტიკულ პოლიტიკაში ხელი არ ურევია. ამგვარ ორგანოს ექნება, მეტ-ნაკლები პრესტიჟი ორივე მხარის თვალში და, რაც მთავარია, ნდობა ორივეს მხრივ. თუ ასეთი ორგანო არ იქნება მაშინ მოხდება მართლაც სამოქალაქო ომი ადამიანური და მატერიალური რესურსების ურთიერთამოწურვამდე, ანუ ურთიერთგაჟლეტამდე. როგორც მოგახსენეთ, გარე ძალის გეგმა, ალბათ სწორედ ამას ითვალისწინებს.

— და თქვენ მართლაც გაქვთ იმედი, რომ ამ ზომებით სისლისღვრა შეჩერდება?

— არ ვიცი. მაგრამ ვიცი ის, რომ სამოქალაქო ომს საქართველოში არა აქვს ობიექტური საფუძველი, რადგან ხელისუფლებისათვის ბრძოლა ამა თუ იმ ჯგუფებს შორის ასეთ საფუძვლად ვერ ჩაითვლება. ობიექტური მიზეზი სამოქალაქო ომისთვის არის ქვეყანაში ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ძალების, ვთქვათ, კლასების, ფენების არსებობა, როცა მათ ინტერესთა კონფლიქტი სხვა ვერაფრით გადაიჭრება ბრძოლის გარდა. საქართველოში ასეთი რამ არ არსებობს. ჩვენთან სამოქალაქო ომის საფრთხე ემყარება მხოლოდ ფსიქოლოგიურ ფაქტორს: ადამიანთა უკიდურეს გამწარებასა და გაღიზიანებას ერთმანეთის მიმართ, რაც შექმნა ჯერ ურთიერთსიძულვილის ქადაგებამ ხელისუფლებისა და ტელევიზიის მიერ, ხოლო შემდეგ — უკვე დაღვრილმა სისხლმა, რომელიც შურისძიების სურვილს თესავს. გარდა ამისა, საქართველოს არ ჰყავს არმია, რაც გამსახურდიას ადმინისტრაციის უდიდეს დანაშაულად მიმაჩნია. ამიტომ ყველა შეიარაღებულ ჯგუფს დიდი გავლენა ენიჭება და მეტისმეტად ბევრი ადამიანი მზად არის, რომ იარაღის საშოვრად ნებისმიერ ზომას და ნებისმიერ ძალადობას მიმართოს თავისი თანამოქალაქის წინააღმდეგ. ესეც ძმათა შორის სისლისღვრის ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორია. ამიტომ ყველა პატიოსანი ქართველისათვის უპირველეს კითხვას — როგორ ავიცილოთ ახალი სისლისღვრა და როგორ აღვადგინოთ მშვიდობა ორად გახლეჩილ ერში? — დღეს მხოლოდ ერთი პასუხი აქვს: ვერაფერი ვერ გვიშველის გარდა საკუთარი შეგნებისა, გარდა იმის დანახვისა, რომ უფსკრულის გზაზე ვდგავართ და გადავიჩეხებით კიდეც, თუ ჩვენ თვითონ არ ავიღეთ ხელი ჩვენი ხალხის გაყოფაზე „ჩვენებად“ (მომხრეებად) და „იმათებად“ (მოწინააღმდეგეებად), თუ შეგნებული ნებისყოფის ძალით არ დავირთგუნეთ ჩვენს თავში სიძულვილი და შურისძიება. მინახავს და ვერც დავმალავ, არც არის დასამალავი: გამსახურდიას მომხრე ქალები გაჰკიოდნენ: „ჩახოცონ ეგენი, თბილისის ზღვაზე რომ არიან, რაღას უყურებენო!“ გამსახურდიას მოწინააღმდეგე [illegible] ბრძანებდნენ: „ჩაწვან ყველანი [illegible]ში, რაღას ელოლიავებიანო!“. დიახ, ასეთი ფსიქოლოგიაა ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ არის (ინგლისში იგი, ალბათ არ არის) და სანამ იგი საყოველთაო ზიზღის საგანი არ გამხდარა, მანამდე ჩვენც, პირდაპირ რომ ვთქვათ, ადამიანების სახელს არ ვიმსახურებთ.

— ეხლა პირდაპირ ვთქვათ, სერიოზული პოლიტიკის ენით და არა ჰუმანიტარული ენით: თქვენი აზრი გამსახურდიას ამ კურსზე ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან კატასტროფამდე და დღევანდელი ხელისუფლების კურსზე?

— გამსახურდიას ქვეყანა უფსკრულისკენ მიჰყავდა, თუმცა მის დროს რამდენიმე ისტორიული მასშტაბის დადებითი ნაბიჯი გადაიდგა. საქართველოს დამოუკიდებლობას ყველა გამოაცხადებდა, შესაძლოა, თვით კომუნისტებიც კი. 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარებას მე მას დამსახურებად ვუთვლი, აგრეთვე ცხინვალის რეგიონის უკანონო ტერიტორიული ავტონომიის და ამ ტერიტორიის უკანონო უზურპატორული სახელის — „ოსეთის“ გაუქმებას. იმ უკანონობის აღდგენას ამიერიდან ნულარავინ ნულარ ეცდება! გამსახურდიას პოლიტიკის კრახად მიმაჩნია იმავე შიდა ქართლის ვერდაცვა და არდაცვა, სსრკ შინაგანი ჯარისთვის იმ მოქმედების დაკანონება, კაპიტულანტური პოლიტიკა ყველა სერიოზულ შიგა და გარე მტერთან. ეკონომიკის დანგრევა, სოციალისტური წყობის შენარჩუნება, უძლური, მაგრამ სისხლიანი დიქტატურის დამყარების შეგნებული მცდელობა. ამასთან, ერთად, რა თქმა უნდა — კაპიტულანტური პოზიცია „თანამეგობრობაში“ საქართველოს ჩათრევის იმპერიული გეგმის მიმართ. მე ეჭვი არ მეპარება, რომ გამსახურდია ის პიროვნებაა, რომლის ყოფნაც საქართველოს სათავეში ყველაზე მეტად ხელსაყრელი იყო იმპერიული ძალებისთვის. რადგან არ არსებობს სხვა, ვინც ამდენსა და ასეთ მძიმე შეცდომებს ჩაიდენდა (რბილად რომ ვთქვათ) და ამავე დროს, თავისი პოპულარობის წყალობით ასე მორჩილად გაიყოლიებდა საქართველოს დაუძლურებისა და იმპერიული უღლისადმი დაქვემდებარების გზაზე. რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, მისი პოზიცია ძირითად საკითხებში ჯერ გარკვეული არ არის, მაგრამ ზოგი რამ კი უკვე დიდად დამაფიქრებელია დღესვე. სახელდობრ, საბჭოთა არმიისათვის საოკუპაციო სტატუსის მოცილება — რასაც ცხადია, პრაქტიკული შედეგებიც მოსდევს — მე მიუღებლად მიმაჩნია, ისევე როგორც რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ ისეთი გამოთქმის დაუფიქრებლად ხმარება, როგორიცაა „გენოციდი ოსი ხალხის წინააღმდეგ“, რაც არანაირად არ ასახავს რეალურ სისხლიან ვითარებას, რომელშიც ყველა მხარეს თავ-თავისი მამოძრავებელი სტიმულები და მოტივები აქვს (სხვა ტერმინების შესაფერისი), ხოლო მსხვერპლსა და ორივე ეროვნების ლტოლვილებს — თავისი სტატისტიკა. მეორეს მხრივ, დღევანდელმა ხელისუფლებამ საგარეო საქმეთა სამინისტროს სახით გამოაქვეყნა პრინციპული პოზიციის გამომხატველი დოკუმენტი შიდა ქართლის საკითხზე (რეფერენდუმებთან დაკავშირებით), რომლის მსგავსი გამსახურდიას ადმინისტრაციას არასოდეს გამოუქვეყნებია. დროებითი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ჩანს, გონივრული იქნება გამსახურდიას ეკონომიკური პოლიტიკისაგან განსხვავებით, თუმცა ვშიშობ, რომ დიდმა მისწრაფებამ საბაზრო ეკონომიკისადმი ერთგულების დემონსტრირებისაკენ ერთი-ორი ნაჩქარევი ნაბიჯი არ გადადგმევინოს (კერძოდ, მიწების პრივატიზაციის საკითხში). შემაშფოთებელია საკუთარი ხალხის ძალად გატეხვის ტენდენცია, რასაც მიტინგებისადმი დამოკიდებულებაში ვხედავთ. ერთი სიტყვით, ჩემი დამოკიდებულება გამსახურდიას ადმინისტრაციისადმი სავსებით ნათელია (და უარყოფითი), დღევანდელი ადმინისტრაციისადმი ჯერ სავსებით ნათელი არაა, ყოველ შემთხვევაში, რელობიდან გამომდინარე, მე საჭიროდ მიმაჩნია დღეს აქტიურად შევუწყო ხელი არსებული ხელისუფლების ყველა ღონისძიებას, მიმართულს სტაბილიზაციისა და გონივრული მართვისაკენ, რომელშიც კი არ შეილახება ადამიანთა უსაფრთხოება და ელემენტარული მოქალაქეობრივი უფლებები. რაც შეეხება დამოკიდებულებას მისი პოლიტიკისადმი საერთოდ, მე მირჩევნია ჩემი პოზიცია პრინციპულად ზოგადი სახით გამოვხატო.

ესაუბრა

გიორგი უკლება

# ფიქრი უბედურებამდე სჯობდა

მურმან ჯგუბურია

ჩემო გურამ!

ამ წერილის საბაბი ამა წლის 18 იანვრის გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული მასალაა: **„ფიქრები დიდი უბედურების შემდეგ“**, რასაც წამძღვარებული აქვს ჩვენი საერთო კოლეგის, გაზეთის რედაქტორის ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის წინათქმა: **„ჩვენი ცოდვაც მისცემია ჩვენს ამამთხრელს, ამამბჟარავს!“**

ჩემი აზრით, მარტო ამ ორი წერილის სათაურის მიხედვით რომ იმსჯელოს მკითხველმა, ამგვარ დასკვნას გამოიტანს: ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი ჩვეულებრივად, როგორც მსახურებდა, ისევე ემსახურება თავის საქმეს. მას კარგად აქვს გასიგრძეგანებული ჩვენი სადღეისო ვითარება, არის გულწრფელი, მართალი, პატიოსანი და მიმტევებელი. როგორც მისი წერილის სათაურიდანვე ჩანს, მან იმ ცოდვაშიც დაიდო წილი, რა ცოდვაშიაც, როგორც ყველამ ვიცით, მას ხელი არ ურევია. ბატონმა ნოდარმა დროულად გამოიხმო თავისი დიდი წინაპრის სტრიქონი და დროულად მოარგო თავის სათქმელს და თავისივე ნებით შეგვიამხანაგა, შენი და ჩემი სავალალო მდგომარეობა მარტო ჩვენზე არ იყოო დამოკიდებული, „ვილაც მესამე ჩადგა ჩვენს შორის“. და თითქმის იმ „მესამეს“ გადააბრალა ყველაფერი. თუმცაღა თავად ბატონმა ნოდარმა, თავად შენც და მეც კარგად ვიცით, რომ მარტო იმ „მესამის“ ბრალი არაა, რაც მოხდა, და სამწუხაროდ, რაც შესაძლოა, კიდევ მოხდეს. ბატონი ნოდარი წინ იყურება, ხვალეზეც მიგვანიშნებს რაღაცას, შენ კი ამას ვერ ამჩნევ, ვერ ხედავ და უკმეხად გვესაუბრები.

„ფიქრები დიდი უბედურების შემდეგ“, — წერ შენ. ფიქრი კი, როგორც ალბათ არც ერთს არ გვესწავლება, მანამდეა კარგი და აუცილებელი, ვიდრე ტრაგედია მოხდებოდეს. ვაჟას „კაცობის გვირგვინი“ — სწორედ ამაზე მიგვანიშნებს. დაფიქრება გვმართებს, ვიდრე რაიმეს გადავწყვეტთ, ვიდრე რაიმეს ჩავიდენთ. არ დაფიქრდა ქართველი ხალხი, და არ დაფიქრდი შენც, როცა ბატონ პრეზიდენტს აძლევდით ხმას. კარგი კი იქნებოდა, დაფიქრებულიყავი. მაგრამ, რას იზამ, ყველას თავისი თავი ადგას და თავისი აზრი გააჩნია. ღმერთია მოწმე, ერთხელაც არ მიკადრებია შენთვის, ბატონ პრეზიდენტს რატომ მიეცი-მეთქი ხმა. და გინდაც რომ რაიმე მერჩია შენთვის, ვიცი, რომ ვერ გადაგარწმუნებდი. მოდი და გადაარწმუნე აგერ, ახლა ქუჩაში მარშით მიმავალი კარვის ქალთა წყება, ჯერ კიდევ რომ გაჰყვირიან — „ზვიადი!“.

ჩემო გურამ!

შენ ჩემთვის უპირველესად პოეტი ხარ. ბევრი შენი ლექსი მომწონებია და მითქვამს კიდევაც შენთვის, რასაც, ჩემი გაგებით, შენ გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდი.

შენ ხარ აგრეთვე კრიტიკოსი. არაერთი კარგი ლიტერატურული წერილი დაგიბეჭდავს. საინტერესო იყო შენი კამათი თუ პოლემიკა ამა თუ იმ საკითხზე ჩვენს მეგობარ მწერლებთან.

შენ ხარ აგრეთვე პროზაიკოსი. წერდი ზღაპრებს ჩვენი პატარებისათვის. პირადად მე შენი ზღაპრები შენს ლექსებთან შედარებით ნაკლებად მომწონდა და ახლაც ნაკლებად მომწონს, რაც, შეიძლება, გემოვნების ამბავი იყოს და მეტი არაფერი. მთავარია, რას ფიქრობენ შენს ზღაპრებზე პატარა მკითხველები.

გადიოდა დრო და შენი, როგორც შემოქმედის არეალი დღითიდღე ფართოვდებოდა.

შენ მალე კინორეჟისორი გახდი. ამ კუთხით შენს მოღვაწეობას მე ვერ შევაფასებ ჩემი დილეტანტური ცოდნის გამო.

შენ გახდი აგრეთვე მსახიობი.

და რაც მთავარია, შენ გახდი ჩვენი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი და მესიტყვე.

მწერალი იყავი და პოლიტიკოსად გარდაისახე. შენ ხშირ-ხშირად გამოდიოდი მიტინგებსა და დემონსტრაციებზე, შეკრებებსა და სხდომებზე, საპარლამენტო სესიებზე. შენ ამ ორიოდე წლის წინ მთელი ხმით უჭერდი მხარს ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერებს: მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, აკაკი ბაქრაძეს, გიორგი ჭანტურიას, ირაკლი წერეთელს... ხანი რომ გამოხდა, შენ აღმოჩნდი ბატონ ზვიად გამსახურდიას გვერდით, რომელიც გამოეყო ეროვნულ ფორუმს, რბილად რომ ვთქვათ, და შექმნა პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. აქედან მოყოლებული შენ ან წერდი, ან ლაპარაკობდი. უმადურობა იქნება, კაცმა რომ თქვას, თითქოს დიდი დაფიქრების დრო გქონდა და ვერ გამოიყენე. შენ იმდენი საპოლიტიკო და საპოლემიკო წერილი შეთხზე ამ მოკლე პერიოდში და იმდენი სიტყვა დახარჯე მიტინგებსა და დემონსტრაციებზე, რამდენსაც ალბათ ერთი კაცი ვერ შეიძლებდა. დაგიფასდა კიდეც. შენმა რჩეულმა და საყვარელმა პრეზიდენტმა გვერდით ამოგიყენა, რაც მთელმა საქართველომ დაინახა. საკითხი არ იყო ეროვნულ პარლამენტში, შენ რომ არ ჩარეულიყავი და კამათი არ გაგემართა. ეხებოდა ეს პოლიტიკას, ეკონომიკას, სამართალს თუ კიდევ რას! დაუფიქრებლად, ერთი ხელის მოსმით ეხზირებოდი რაგინდა-რა კამათში და ბუქს აყენებდი. ასე იყო. მაგრამ ახლა, ამ დიდი უბედურების შემდეგ მაინც რატომ ერთხელაც არ დაფიქრდი, ჩემო გურამ, რომ შენ არა ხარ ის კაცი, ვინაც უნდა ასწავლოს ჭკუა, მაგალითად, ბატონ რომან გოცირიძეს, ანდა ბატონ თედო პაატაშვილს ან ის შენი რჩეული ეროვნული მოძრაობის ლიდერები როგორ მოიძულე, რომ განუკითხავად თათხე და თათხე მაღალი ტრიბუნიდან, თავი რომ დავანებოთ ჩვენს საერთო მეგობარსა და კოლეგას, ბატონ გურამ გეგეშიძეს, ვისი ცხოვრების წესი მუდამჟამს მისაბაძი იქნება უმცროსი მეგობრებისათვის. რატომ არ დაფიქრდი ამ დიდი უბედურების შემდეგ მაინც იმაზე, თუ რატომ არ დაუდგა ბატონი გურამ გეგეშიძე პრეზიდენტს გვერდით? როგორ გგონია, შენ ახლა, ბატონი **ზურაბ კიკნაძე** ჩვენზე ახლოს და ჩვენზე კარგად არ იცნობდა ყოფილ პრეზიდენტს? ანდა ბატონი **ბაჩანა ბრეგვაძე**? ჩამოთვლა რომ დავიწყო, გაზეთი არ გვეყოფა, იმდენი შენი და ჩემი საყვარელი პიროვნება აღმოჩნდება ყოფილი პრეზიდენტის მოწინააღმდეგე ბანაკში, ანუ კრიმინოგენულ ინტელიგენციაში, ქურდებში, კრემლის აგენტებში. გულზე ხელი დაიდევი, როგორც შენ გიყვარს ხოლმე თქმა და დაფიქრდი, ბევრი წაგიკითხავს ამ ბოლო ხანებში ქალბატონი **მანანა გიგინეიშვილის** წერილზე უკეთესი და ღირსეული? ქალბატონმა მანანამ თავისი სათქმელი ხომ თქვა, ჩემი სათქმელიც, შენი სათქმელიც და მთელი გონიერი საქართველოს სათქმელიც გააცხადა თავის სიტყვაში. მაგრამ შენ ჯერჯერობით ამას ვერ ხედავ.

**„ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა მთლად განმაცვიფრა,** — წერ შენ, — **ჩვენ ხომ ვართ ის საზოგადოება, სადაც შესაძლებელია პეტრიაშვილი გალაღდესო“.**

**„კი მაგრამ რით ვიყავი გალაღებული?“**

ამ კონტექსტში პეტრიაშვილი უფრო მეტის მომცველია, ჩემო გურამ, ვიდრე ერთი კონკრეტული გვარი და პიროვნება, აქ პეტრიაშვილობაზეა ლაპარაკი და არა გურამ პეტრიაშვილზე, არა ქორიძეზე, არა კალაძეზე, არა ტალიაშვილზე, არამედ საერთო მოვლენაზე, კარვის ქალებზე და არა ერთი რომელიმე „მდედრიონის“ წევრზე. მწერალი კაცი ამას კი უნდა ხვდებოდეს, გურამ!

**„მაინც რას ნიშნავს გალაღება?** — იმეორებ შენ, — **იქნებ ქალბატონი მანანა იმას მანიშნებს, რომ დასაჭერი ვარ ჩემი აზრებისათვის?“**

არ მიანიშნებს! ქალბატონი მანანა გიგინეიშვილი შენ არ დაგიჭერს! არც ქორიძეს დაიჭერს, არც კალაძეს, არც ტალიაშვილს. ქალბატონმა მანანამ იცის, თქვენ რომ დაგიჭიროთ, ბარი-ბარში რომ აღმოჩნდებით. ერთი დიდი ფილოსოფოსი ამბობს, კაცს რომ ციხეს მიუსჯი, იმ წუთიდანვე დანაშაულისაგან თავისუფლდებაო. იქნება ამიტომაც არ გიჭერთ ქალბატონი მანანა. შენ თავად უნდა დაგეჭირა საკუთარი თავი, ვიდრე მეათედ თუ მეასედ მიხვიდოდი მიკროფონთან, თორემ მანანა გიგინეიშვილი ვისი დამჭერია. არ მიწყინო, მაგრამ დამჭერი რომ ყოფილიყო ქალბატონი მანანა, ხელისუფლების მხარეზე დადგებოდა. ძალა შემწევს ქადილისაო, ხომ გაგიგონია, მაგრამ მან ეს არ ისურვა. ინტელიგენტი ვერავის ვერ დაიჭერს. შენ კი, ჩემო გურამ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ეჭვი გეპარება ქალბატონი მანანა გიგინეიშვილის ინტელიგენტობაში. ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, შენ რომ ფიქრის დრო არა გაქვს.

აი, კიდევ ერთი (მორიგი) დაუფიქრებელი და აქედან გამომდინარე, ჰაი-ჰარა ანალიზი შენი წერილიდან:

**„მაგრამ აი, რა თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში „თელასის“ დირექტორმა ზურაბ გურგენიძემ:**

**„მინდა ვთხოვო მოქალაქეებს ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხების გამო თავისი უკმაყოფილების გამოსახატავად ნუ დაესხმიან და ნუ დაარბევენ „თელასს“. 8-9 იანვარს, მაგალითად, უკმაყოფილო მოქალაქეთა ჯგუფმა იარაღის მუქარით დაარბია „თელასის“ ადმინისტრაციული და ცენტრალური სადისპეტჩეროს შენობის ორი სართული. მსგავსი შემთხვევები იყო კრწანისის, ისნის, ვაზისუბნის განყოფილებებში. შეიარაღებულმა პირებმა „თელასის“ მთავარი სადისპეტჩერო სამსახურის მუშაკიც კი გაიტაცეს“.**

ახლა შენეული ანალიზი:

**„საშინელი რამაა აქ ნათქვამი. ესე იგი ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც ელექტროენერგია სჭირდებათ ტელევიზის საყურებლად, უთოს გასაცხელებლად და მტვერსასრუტის ასამუშავებლად, როგორც კი უკმაყოფილონი ხდებიან ამ ენერგიის არასაკმარისი მოწოდებისა, თურმე მაშინვე იარაღს სტაცებენ ხელს. უბედურება სწორედ ეს უკვე ჩამოყალიბებული მყარი ფსიქოლოგიური კავშირია: უკმაყოფილება — იარაღი“.**

თავი რომ დავანებოთ იმ ამბავს, რომ ელექტროენერგია ტელევიზორის, უთოს და მტვერსასრუტის გარდა საჭიროა აგრეთვე კერძის გასაცხელებლად თუ ჩაის მოსადუღებლად, შენ არ გაინტერესებს, ჩემო გურამ, თუ ვინ, რომელმა მხარემ ჩაიდინა ასეთი დანაშაული და რაც მთავარია, რატომ ჩაიდინა. მათემატიკოსმა კაცმა ის მაინც ხომ უნდა იანგარიშოს, რომ ზემორეაღწერილი შემთხვევის ავტორი ორი დაპირისპირებული მხრიდან ერთი რომელიმე მაინც უნდა ყოფილიყო? ხომ უნდა დაფიქრებულიყო ამაზე მწერალი ამ დიდი უბედურების შემდეგ? მართლა ხომ უნდა მიხვდეს კაცი, თუ ვის აძლევდა ხელს, ვის აწყობდა და ვინ ჩაიდინა დანაშაული? ან კი, შე დალოცვილო, ელექტროენერგიის მოსაპოვებლად იარაღასხმული კაცი ელექტროსადგურს დაარბევს და ელექტროენერგიის გამმართავს ტყვედ წაიყვანს? იმ იარაღასხმულ ყაჩაღებს იოტისოდენავადაც არ სჭირდებოდათ ელექტროენერგია, პირიქით, იმიტომ მიუვარდნენ „თელასს“, რომ ელექტროენერგია მოეშალათ, რათა ახალი ხელისუფლების ტელევიზიას ხმა ჩაეკმიდა. ან კი განა ამ დეკემბერ — იანვრამდე არ გამორთულა თბილისში ელექტროდენი? რაღა ამ ომიანობისას მიუვარდა ის თოფოსანი ხალხი „თელასს“? ამოვხსენით ეს საკითხი, როგორც იქნა. ყაჩაღებში კი, ნაწილობრივ (ქარაგმულად გეუბნები), შენც იგულისხმები, ჩემო გურამ; აგერ, ამ შენს წერილში ხომ ამბობ ასე:

**„პირადად მე იმ პოლიტიკური ბანაკიდან ვარ, რომელიც კანონიერ, დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტს უჭერდა და უჭერს მხარს“** (ხაზგასმა ჩემია, მ.ჯ.). კანონიერი პრეზიდენტი გვყავსო, გვეუბნები. მაგრამ რომელი კანონით აირჩა შენი პრეზიდენტი? რომელი კონსტიტუციით? ამ კითხვას, როგორც იტყვიან, ალტერნატივა არ გააჩნია. საბჭოთა კონსტიტუციით! და საბჭოთა კანონ-სამართლით! და საბჭოთა მოქალაქეებმა აირჩიეს! შენს პრეზიდენტს, შენც, მეც, ჯიბეში ჯერ კიდევ საბჭოთა მოქალაქის პასპორტი გვიდევს, ამაზე თვალს ხუჭავ, შე კაი კაცო, და ერთი ნამცეცა საბაბი თუ იშოვე, თავზე ესხმი ქართული კულტურის უთვალსაჩინოეს მოამაგეებს. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ნაბან წყალს ბავშვიც თან გადააყოლესო. მაგრამ რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა შენ ამ ერთი წერილის სივრცეზე ივიწყებ შენსავე განაცხადს და გვეუბნები: „მე პოლიტიკოსი არ გახლავართო“. რომელი ერთი დავიჯეროთ? ამ წუთას გვითხარი იმ პოლიტიკური ბანაკიდან ვარო, მეორე წუთას — პოლიტიკოსი არ გახლავართო.

**„პოლიტიკოსის ნიჭი ალბათ ირინე სარიშვილს უფრო აქვს“**, წერ შენ. წინა აბზაცში ქალბატონ ირინას ნამდვილ სახელს, ირინას ეძახი, მომდევნო აბზაცში კი — ირინეს, რა საკადრისია ოღონდაც ასეთი მოჩვენებითი და ვითომობითი „ლაფსუსები“. შემდეგ ამბობ:

**„ამიტომაც მიმაჩნია, შეცდომა იყო 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ რომ არ მიიღო მონაწილეობა. იმ არჩევნებში ამ პარტიასაც, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასაც და ყველა სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალასაც უნდა მიეღო მონაწილეობა. მაშინ, დარწმუნებული ვარ, აღარ მივიდოდით დეკემბერ-იანვრის სისხლიან ამბებამდე“.**

ჩემო გურამ, კარგად რომ წაგეკითხა შენს მიერ დასახელებული პარტიების წესდებები, შეცდომად არ ჩაუთვლიდი ამ პარტიებს არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობას. თუმცაღა, ნაწილობრივ, მართალიც ხარ. ამ პარტიებსაც რომ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, ეს დიდი ტრაგედია, რაც მოხდა, დეკემბერ-იანვარში კი არ მოხდებოდა, არამედ ცოტათი მაინც გადაიწევდა და მოხდებოდა ალბათ მაის-ივნისში, ან ივნის-ივლისში, იმიტომ რომ ძნელად თუ მოახერხებდა თქვენს მიერ არჩეული პრეზიდენტი არჩევნებში მონაწილე მრავალი პარტიისაგან ერთპარტიული სისტემის სასწრაფოდ შექმნას.

თქვე კაი ხალხო, ერთპარტიული სისტემა შექმენით (კომუნისტების კვალობაზე), უკვე თითქმის არავინ გიშლიდათ ხელს, რასაც ისურვებდით, იმას დაამტკიცებდით, მოიგონე ერთ-ერთი სესიიდან ეპიზოდი: სესიის თავმჯდომარე: „გავაგრძელოთ კამათი?“ პრეზიდენტი: „კენჭი უყარე!“ ხომ ხედავ, როგორ აქვს განაღდებული პრეზიდენტს თავისი აზრის გასვლადამტკიცება?! კომუნისტები გამოყარეთ, თანამებრძოლი პარტიები გაინაწყენეთ, „მრგვალი მაგიდა“ სასურველ დონეზე დაიყვანეთ და თავი მაინც ვერ შეინახეთ. და რა ჭირად გინდოდათ კიდევ სხვა პარტიების წარმომადგენლები, რომელთაც არა თუ პარლამენტში, ქუჩებშიც არ აყენებდით.

როგორც ვხედავ, არაა მწერლის საქმე პოლიტიკა. ასევე არ იყო პოლიტიკოსი ყოფილი პრეზიდენტი. ბატონ ზვიად გამსახურდიას ნახელსაქმარიდან, ჩემი გაგებით, ყველაზე ფასეულია მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

ღვთისმოსავი და მოაზროვნე პავლე ფლორენსკი წერს:

„საქვეყნოდ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკა პროფესიაა, და ისევე ძნელად არის მოსახელთებელი, როგორც მედიცინა ან მათემატიკა.“ სხვაგან იგი გვეუბნება, რომ პოლიტიკოსი ის არის, ვინც განჭვრეტს მომავალს. რა პოლიტიკოსობაა, თუ ძმა ხარ, მწერალი რომ აყვება კარვის ქალებს და მათთან ერთად გაჰყვირის: „ზვიადი! ზვიადი!“ ჩვენ ხომ ვიცით, ჩემო გურამ, რომ მწერალი ის კაცია, ვინც ზვიადსაც უნდა აკვირდებოდეს და „ზვიადის“ მაძახურსაც, თორემ ასე თუ დავაღეთ პირი (როგორც ბატონმა მუხრან მაჭავარიანმა დააღო) და ვიძახეთ, რასაც ჩაგვძახებენ, ცარიელი ქვევრი რომ გვიწოდონ, რატომ უნდა გვეხამუშოს?

შენ მუდამ რაღაც საგულისხმოს ჩაავლებდი ხელს, როცა საქმე ლიტერატურას ეხებოდა, პოეზია იქნებოდა ეს თუ პროზა, თარგმანი თუ ესსე. და შენი ნაწერი საინტერესო საკითხავი იყო. მაგრამ რაც პოლიტიკას მოეკიდე, შენმა სიტყვამ დაკარგა ჰარმონია, ბუნებრივი წყობა, სიტყვა სიტყვას გადაემტერა, წინადადება — წინადადებას, დაიკარგა თანხმობა, რაც სიმართლის თქმასთან არის დაკავშირებული და მისი ადგილი ტყუილმა დაიჭირა. მაგალითად, „რატომ არ უყვართ რუსებს მუხა?“ — კითხულობ შენ და გინდა უპასუხო ამ კითხვას, მაგრამ ვერ პასუხობ. იმიტომ, რომ თავად შეკითხვა არ არის სწორად დასმული. არადა, მთელი გაზეთის ფართობზე ამ ერთადერთ შეკითხვას უკირკიტებ, მაგრამ რაკილა შეკითხვა მცდარია, პასუხიც მისი ოჯახიდანაა, მისი ნათესავია.

არა მგონია, რუსებს მუხა ქართველებზე ნაკლებად უყვარდეთ, გურამ. „У лукоморья дуб зеленый...“ Дубрава. Дубна. Дубина. Поддубный. რუსი რომ ვიყო მეტს ჩამოვწერდი. მარტო ესენინის „ბერიოზა“ არაა რუსეთი. ვგლახ, ამაზე რომ გვიხდება საუბარი. მე მახსოვს შენი წერილი რუსული პოეზიის შესახებ. რუსეთი დიდი და ვრცელი ქრისტიანული ქვეყანაა. რაც რუსეთს სჭირს, კარგად თუ დავუფიქრდებით ამ დიდი უბედურების შემდეგ, ჩვენი გასაჭირიცაა. ასტაფიევმა გამოგვლანძღა, როგორც გვეგონა, რასპუტინმა ავადმყოფი ერი გვიწოდა, ცალ-ცალკე რომ ვიქნებით, არ დაგჭირდებითო? — გაგვაფრთხილა. ელცინის გამონათქვამს კი არა აქვს ჩვენთვის იმდენი მნიშვნელობა, მთავარია, რას ამბობენ ჩვენზე ასტაფიევი, რასპუტინი, ბელოვი. თუკი რუსეთი არ გახდა თავისუფალი სახელმწიფო, არც ჩვენ დაგვადგება კარგი დღე. ახლა ეკოლოგიას ომზე მეტი საშიშროება ახლავს. ერთი რომელიმე ატომის სადგური რომ გამოვიდეს მწყობრიდან, მშვიდობით, საქართველოვ. თუკი რუსეთმა არ მოუარა თავის ქვეყანას, თავის ბუნებას, არ უნდა დავივიწყოთ, ჩვენს პაწია საქართველოს თავზე რომ გადავაკვდეთ, არაფერი გამოგვივა. ყველაფერი ერთმანეთთანაა გადანასკვული. ხომ ხედავ, თუკი ჩვენ არ გავხდებით კერძო მესაკუთრენი, არც ამერიკას ვუნდივართ. ეკოლოგია კერძო საკუთრებასთან არის დაკავშირებული. თქვენს არჩეულ პრეზიდენტს კი საით მიჰყავდა საქართველო? შეიძლება პრეზიდენტმა საომრად მოუწოდოს საკუთარ ხალხს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ? დაიხოცა ხალხი, დაინგრა ქალაქი, დაზარალდა საქართველო. პრეზიდენტისათვის სიყვარულთან ერთად პასუხისმგებლობაც უნდა მიგენიჭებინათ.

და ბოლოს:

ერთი მოხუცებული კაცი დიდი ხანი ლოგინად იყო ჩავარდნილი. როცა გამოჯანმრთელდა და ქუჩაში გამოვიდა, შეეყარა ერთი მასხარა მეზობელი და ჰკითხა: ამდენი ხანი რომ არ ჩანდი, სად იყავიო. იქ ვიყავიო, მაგრამ არ მიმიღეს და უკანვე გამომაბრუნესო. იქ თუ იყავი, ცხონებულ მამაჩემს ნახავდიო. ვერაო, მამაშენი იქაც მომკვდარა და სხვაგან გადასახლებიათო.

მე მინდა: შენც, მეც და ჩვენს პრეზიდენტსაც, როცა მოვკვდებით და იქ მივალთ, საკუთარი მამა ადგილზე დაგვხვდეს.

ეს ერთი ნატვრა მაქვს და ღმერთმა აგვიხდინოს!

# „რომლითა საწყაულითა მიუწყათ...“

აღმაშფოთა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა გურამ და რობერტ პეტრიაშვილების წერილებმა. კარგია, რომ ახლა მაინც დამდგარან ავტორები სიყვარულის ქადაგების პოზიციაზე (თუმცა მე მათ გულწრფელობაში ეჭვი მეპარება). უბედურებაა ის, რომ ამისათვის ნგრევა და სისხლი გახდა საჭირო. გვიან ხომ არ არის, ბატონებო, თქვენგან ცრემლის ღვრა? რა გააკეთეთ პირადად თქვენ იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა ძმათამკვლელი ომი? იქნებ, ნასახლარს შეფარებულნი, ტყვიების ზუზუნში ახლა იზეპირებდით წიგნებს სიყვარულისა და სამართლიანობის შესახებ?

ბატონი გურამი ძალიან აუღელვებია იმას, რომ, თურმე, შეიძლებოდა, რომელიმე ავტომატიან კაცს მისი ძმის დანახვაზე თითი გამოეკრა ჩახმახისათვის, მითუმეტეს, რომ მსხვერპლი ორი იქნებოდა, რადგან მეც ზედ მიმაყოლებდაო, წერს იგი.

რატომ სხვისადმი მიმართულმა პირველმა ტყვიებმა არ შეგძრათ ასე, როცა ჯაყვებით ომისკენ მოუწოდებდით საჯაროდ? რატომ შუაში არ ჩადექით მებრძოლ ძმათა შორის და, სამარცხვინოდ, ჯერ ბუნკერს, ხოლო შემდეგ ნასახლარს შეაფარეთ თქვენი ცოდვილი სული? იქნებ გგონიათ, თქვენი სიკვდილი უფრო დიდი ტკივილი იქნებოდა საქართველოსთვის, ვიდრე თუნდაც ერთი პირმშვენიერი ჭაბუკის — სანდრო შაიშმელაშვილის დაღუპვა?

დღეს გნებავთ გულუბრყვილოდ შეცდენილთა პოზით წარმოგვიდგეთ. არა, ბატონო გურამ, ვერ დაგიჯერებთ, რადგან ვფიქრობ, თქვენი სატელევიზიო თუ სამიტინგო გამოსვლები სწორედ რომ შეგნებული ცილისწამება და ღვარძლის ნთხევა იყო ადამიანთა გასაბრიყვებლად მიმართული. იქნებ მართლაც გჯერათ, რომ ბატონმა ელდარ შენგელაიამ არ იცის, ვინ არის ვაჟა-ფშაველა? ან იქნებ მართლა გგონიათ, რომ ბატონი ნოდარ ნათაძე მანქანებით ვაჭრობდა? იქნებ მართლა ფიქრობთ, რომ ბატონი აკაკი ბაქრაძე კრემლის აგენტია? თქვენ არც ისე გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ ეს გჯეროდეთ. თქვენ შიში გალაპარაკებდათ, შიში თქვენზე უფრო ნიჭიერი, ჭკვიანი ადამიანებისა, და მე მგონია, თქვენი ეს წერილიც შიშმა დაგაწერინათ, მომავლის შიშმა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თქვენთან ანგარიშსწორებას დიდ ვაჟკაცობად ვერავის ჩავუთვლიდი ახლაც. ამიტომაც ორმაგად ვცემ პატივს ბატონ ელდარ შენგელაიას, რომელმაც არცერთხელ არ იკადრა, თქვენთვის ეპასუხა.

„თუ როგორ ვმუშაობდით ჩემი ძმა და მე როგორც დეპუტატები, ამისი უამრავი მოწმეა და ვისაც დასჭირდება შეუძლია გაიკითხოსო“, ამაყად აცხადებს გურამ პეტრიაშვილი. განა რა გააკეთეთ უზენაეს საბჭოში იმისი ფასი, რომელიც გადასწონიდა თქვენს ისტერიულ გამოსვლებს საჯაროდ, მთელი საქართველოს წინაშე? არის საკითხები, რომლებიც რაოდენობით არ იზომება. ორიოდ მიტინგზე წამომცდა სალანძღავი სიტყვაო, წერთ თქვენ. ჩვენ კი შესანიშნავად გვახსოვს სპეციალური სატელევიზიო გამოსვლები, მხოლოდ იმისათვის, რომ გელანძღათ ერის ღირსეული შვილები. მათი ლანძღვით გსურდათ საკუთარ უპირატესობაში ხალხის დაჯერება. ის კი დაგავიწყდათ, რომ ასეთი მეთოდი საწინააღმდეგო შედეგით სრულდება ხოლმე.

ძალიან სასიამოვნო მოსასმენია თქვენგან პირობა, არაკორექტულ სიტყვას აღარასოდეს ვიტყვიო. მაგრამ რა ვუყოთ იმ ადმიანთა დაჭრილ სულებს, დადაგულ გულებს, შელახულ თავმოყვარეობას, ვისაც თქვენი „მჭევრმეტყველების“ სიკეთე თავის თავზე უგემნია?

წუხილი ისმის თქვენს სიტყვებში, დამცინიან ოპონენტებიო. ბატონო გურამ, რატომ ფიქრობთ, რომ სხვებს თქვენზე ნაკლებად [illegible] სების შეგრძნება?!

მართლაც რომ აღმაშფოთებელია რობერტ პეტრიაშვილისეული შეფასება ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილის გამოსვლისა. ბატონო რობერტ, თუკი ცილისწამება ცოდვად მიგაჩნდათ, რატომ არ ურჩევდით არაფერს თქვენს ძმას? რატომ დაიტვირთეთ სული ამდენი ცოდვით ღვთის წინაშე? იქნებ ტყვიების ზუზუნში წაიკითხეთ პირველად სახარება? „ტელევიზია წინასწარი ბრალმდებლისა და ცოდვის გამავრცელებლის როლში არ უნდა გამოდიოდესო“, ამბობთ თქვენ და ახლაც ირონიად აღიქმება ეს სიტყვები.

ბატონო რობერტ, მესმის თქვენი გულისტკივილი შვილების გამო, მაგრამ ნუთუ გგონიათ, რომ ბატონი ნოდარის, ბატონი ელდარის, ბატონი აკაკის შვილებს ნაკლებ სჯერათ და ეამაყებათ შვილობა მამებისა, რომელთა სახელებითაც მუდამ ამაყობდა საქართველო.

იმედია, სახარებაზე „მუშაობისას“, ერთი შეგონებაც არ დაგრჩებოდათ უყურადღებოდ: „რომელითა საწყაულითა მიუწყათ, მოგეზღათ თქვენ“.

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲤᲘᲤᲘᲐ

# მზაკვრობა ზვიად ძიძიგურისა და ...

## (ღია წერილი ზვიად ძიძიგურსა და ვალტერ შურღაიას)

დღეს, როცა ამ წერილს ვწერ, 20 იანვრის ღამეა. ხვალ დილით, უთენია უნდა გაუდგეს ჩვენი გადამღები ჯგუფი ფოთის, შემდეგ კი ზუგდიდის გზას.

ამიტომ ვჩქარობ. ვღელავ კიდეც. ხელი არ მემორჩილება იმის დასაწერად, რაც ჩემი ყურით მოვისმინე და რაც ჩემი თვალით ვნახე. ხდება ზოგჯერ ისე, რომ ნათქვამ-მოსმენილით გაოგნდები და ვიდეოაპარატი გავიწყდება, და ხდება ისეც, რომ მოქმედება ხდება (სროლა, შეტაკება) ღამით და კამერა ვერაფერს ხედავს.

ასე იყო 18 იანვარს და ამიტომაც ვწერ ამ ნაჩქარევ წერილს.

12 საათი. ქუთაისის სამხედრო საბჭოს წარმომადგენელთა შტაბი.

როგორც ომიანობის დროის წესი, აქაც არეულობაა, შეიარაღებული და შეუიარაღებელი ადამიანების სიმრავლე. ტელეფონების გაბმული ზარი. ხმამაღალი ლაპარაკი, ბრძანებები, ჩურჩული. ნაცნობი თუ უცნობი სახეების გაელვება. გარეთ თოვს. შიგნითაც ისე ცივა, როგორც გარეთ. სიგარეტის კვამლი. ზოგს შია, ზოგს სწყურია, ზოგი ფეხზე დგას და თვლემს, ზოგი სკამზე ზის, თავი გვერდზე გადაუგდია და ისე ტკბილად ძინავს, ალბათ, ძილში, გულზე მიხუტებული ავტომატი ფანდური ჰგონია.

და ამ არეულობაში, ხმაურში მოულოდნელად გაისმის საქართველოს სამხედრო საბჭოს ქუთაისის რწმუნებულის ჯონი ქარჩავას მკვეთრი ხმა:

— სიჩუმე!

ხაზზეა სამტრედია.

ჯონი ქარჩავა ყურმილს აწვდის ნუგზარ დვალიშვილს.

იქ მყოფთა უმრავლესობამ იცოდა, რომ ხაზზე სამტრედიის ყოფილი პრეფექტი ზვიად ძიძიგური უნდა გამოსულიყო.

სიჩუმე ჩამოვარდა. დვალიშვილი გულდასმით უსმენდა, ხანდახან თავს აწევდა და ან ჩვენ გადმოგვხედავდა, ან სამხედრო საბჭოს რწმუნებულს.

— კარგი, — თქვა მან ბოლოს, — სამ საათზე ველოდები შენს ზარს.

— რაო? — ჰკითხა ჯონი ქარჩავამ.

— სამ საათზე ხელახლა დარეკავს. — უპასუხა დვალიშვილმა, დაკიდა თუ არა ყურმილი.

ის სამი საათიც მოვიდა.

არა, მან დროზე ადრე, ორსაათნახევარში დარეკა.

მაგრამ ორსაათნახევარი ძალიან დიდი დროა მაშინ, როცა ელოდები ისეთ ინფორმაციას, რომელსაც შეუძლია სისხლისღვრის ახალი დაწყებაც და შეწყვეტაც. იმ წუთებში, დანამდვილებით ვიტყვი, ალბათ იმდენი არავის უფიქრია ზვიად ძიძიგურზე, რამდენიც მე. გამახსენდა 4 ოქტომბრის თბილისის ზღვა — თენგიზ კიტოვანის ეროვნული გვარდიის დისლოკაციის ადგილი, სადაც ზვიად გამსახურდიას მიერ გაგზავნილ დეპუტატებთან ერთად, ავტომანქანით, რომელზეც თეთრი დროშა იყო აღმართული, მეც მივედი. თვალწინ გამიელვა იქ გადაღებულმა კადრებმა:

თ. სიგუა: არ გეუბნებოდი, დაშალე კოლმეურნეობები, გადაეცი მიწა გლეხებს — მეთქი?

ზ. ძიძიგური: (თვალებს დაბლა ხრის, დუმს).

თ. სიგუა: შენ კი ამ დროს რას აკეთებდი, აგროვებდი შეიარაღებულ ადამიანებს, პრეზიდენტის მოწოდებაზე და უშვებდი თბილისში.

ზ. ძიძიგური: მე ეგ არ გამიკეთებია.

თ. სიგუა: აკეთებდი, ზვიად, აკეთებდი...

(შემდეგ თ. სიგუას საუბარი გადააქვს სხვა თემაზე, მაგრამ რატომღაც მახსენდება დეპუტატ ვალტერ შურღაიასთან საუბარი, თუ კამათი.)

თ. სიგუა: სად არის ახლა ის ქალბატონი?

ვ. შურღაია: რომელი ქალბატონი, პრეზიდენტის მეუღლე?

(დარბაზში მხიარული გამოცოცხლება და სიცილი)

ვ. შურღაია: რა გაცინებთ, თქვენ გგონიათ, სიტყვაზე გამომიჭირეთ? შენ რა გაცინებს, ოპერატორო (მე მეუბნება), მომიშვირე მაგი აპარატი აქეთ, მიმიშვირე...

2 საათსა და 35 წუთზე კვლავ აწკრიალდა ტელეფონის გაბმული ზარი.

ყურმილი დვალიშვილმა აიღო.

— გისმენ ზვიად!. ხუთზე? (ტელეფონის ყურმილზე ხელის გულს აფარებს და ჩუმად ეუბნება სამხედრო საბჭოს რწმუნებულს) ხუთ საათზე შეგიძლიათ მობრძანდეთ და ჩაიბაროთ ქალაქი სამტრედიაო.

— თავისი ხალხით მიდის?

— თავისი ხალხით.

— იარაღს აბარებს თუ თან მიაქვს?

— იარაღი თან მიაქვს. — დვალიშვილმა ყურმილი დადო.

— ერთი მხრივ კარგი საქმეა, რომ უბრძოლველად ტოვებს სამტრედიას, მაგრამ მეორე მხრივ ცუდია ის, რომ იარაღი თან მიაქვს. რას ვიზამთ, ნება მისია.

ჩვენ ვიცოდით ზვიად ძიძიგურის ნათქვამი: მე სამტრედიიდან გავიყვან ჩემს ხალხს, და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, არ დავეხმარო არც ერთ მხარეს.

ესე იგი, ჩემს ხალხს არ ჩავრევ ამ ძმათამკვლელ ომშიო.

ასეთი გადაწყვეტილება, რომელიც თავიდან ბესიკ ქუთათელაძის საქციელს წააგავდა, რა თქმა უნდა, მისასალმებელი იყო, მაგრამ ბესიკმა ეს სულ სხვა სიტუაციაში გააკეთა, მაგრამ ზვიად ძიძიგურს, თუ იგი იარაღს დადებდა, შეეძლო ეთქვა, რომ მეც ისეთივე გმირობას ჩავდივარ, რაც ბესიკ ქუთათელაძემ ჩაიდინაო. (ცნობისათვის: ამ დროს ბესიკ ქუთათელაძეც აქ იმყოფებოდა და ყველაფერს თავისი ყურით ისმენდა).

— მაშინ დროა რამდენიმე კაცი გავგზავნოთ ვანში და ყოველგვარი სროლის გარეშე დავიკავოთ რაიონის ცენტრი, გავესაუბროთ იქაურ ცნობილ პიროვნებებს და დავნიშნოთ სამხედრო საბჭოს დროებითი რწმუნებული, — თქვა ჯაბა იოსელიანმა, — რას იტყვით?

რაღაც ორიოდ წუთში ვანისკენ მიმავალ თოვლით დაფარულ გზას მივადექით. ქარი ქრის...

განა შეიძლება შეხვიდე ვანის რაიონში და გალაკტიონი არ გაგახსენდეს?

ქარი მართლა ქროდა, მაგრამ ფოთლები არ მიქროდნენ ქარდაქარ. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ახლა აქ სულ სხვა ქარი ქროდა, მოსალოდნელი ძმათა სისხლისღვრის ქარი.

ცარიელი რაიონული ცენტრი. ადამიანები კანტიკუნტად დადიან. ზოგს რამდენიმე პური ამოუჩიღლიავებია, ზოგს საღლაც კომბოსტო უშოვია. არავის არავისთვის არ სცალია, ყველა თავისი გზით მიდის.

ვაჩერებ პირველ შემხვედრს.

— სად არის პრეფექტურა? — ვეკითხებით მისალმების შემდეგ. მგზავრი ხელს მარჯვნივ იშვერს და მოკლედ ამბობს:

— იქ.

— პრეფექტი?

— გაიქცა პრეფექტი.

— გაიქცა?

— ჰო, ძიძიგურმა დაუძახა, ნახევარი საათი იქნება, რაც წავიდნენ.

— სხვები?

— ვინ, გვარდიელები? გაყვნენ იმას.

— რა იარაღი ჰქონდათ?

— ავტომატები. კონტეინერში სამხედროებს დაეცნენ და წაართვეს 72 ავტომატი, მარა პრეფექტს 30-35 კაცზე მეტი არ ჟავდა. ყველა უწვერულვაშო იყო, სროლაც არ იცოდნენ ხეირიანად...

ისევ თბილისის ზღვა. ისევ ჩამესმის ყურში:

ზ. ძიძიგური: მე ეგ არ გამიკეთებია.

თ. სიგუა: აკეთებდი, ზვიდ, აკეთებდი.

არა, ზვიად, ეს სიტყვები აღარ დაგეჯერება, მით უფრო, როცა დღეს, ვანიდან ავტომატებით შეიარაღებული 30-35 უწვერულვაშო ახალგაზრდა შეიერთე და „ფირალად“ გავარდი. იქნებ განზე სულაც არ გამდგარხარ და ზუგდიდისკენ გაუყევი ვალტერ შურღაიასთან შესაერთებლად? შენზე ნაკლებ არც ვალტერ შურღაიას ვცემდი პატივს. თბილისის ზღვაზე შენც, ვალტერიც და ქობალიაც (სახელს ვერ ვიხსენებ, მგონი ლოტი ქობალიას ძმა) კაცურ კაცებად მომეჩვენეთ. საუბედუროდ, არც დრო გვაქვს და არც საშუალება, რომ ის ჩანაწერი თავიდან ბოლომდე გავაცნოთ მკითხველს, მაშინ უფრო დარწმუნდებოდა თქვენს ადამიანურობაში, მაგრამ ის, რასაც ახლა თქვენ აკეთებთ, რომელ ადამიანურობას უნდა მივაწეროთ? მე მაშინ ნამდვილად ვიფიქრე, რომ თქვენ არ იყავით პრეზიდენტის მიერ „აგორებული“ ფსიქოზის მსხვერპლი, რადგან სხვებივით მონურად არ აზროვნებდით. დღეს რა ხდება? ნუთუ პარლამენტიორთა დროშას ამოფარებული, ტირანის ნილბით მოსხული ადამიანები იყავით?

არა?

მაშ რა მოხდა სამტრედიაში?

ვინ გაგვიხსნა ცეცხლი სამტრედიაში მშვიდობიანი მისიით შესულ გვარდიელებს, თვითონ ძიძიგურმა თუ ადგილზე დარჩენილმა თვითმოქმედმა ჯგუფმა? ის სისხლი, რაც იქ დაიღვარა, ხომ შენს კისერზეა, ზვიად? ეს ხომ საერთაშორისო სამართლის ენაზე მზაკვრობაა და არა სამხედრო სტრატეგია, რისგანაც ასე ძალიან შორს მდგარხარ.

ძალიან მწყინს, ბატონო ზვიად, რომ თქვენ სულ სხვა აღმოჩნდით, ვიდრე მეგონა.

ძალიან მწყინს, ბატონო ვალტერ, ახლა რომ არ ეუბნებით თქვენს მხარდამჭერებს, „თავს მოვიკლავ, თუ ახალი მთავრობა რეპრესიებს გაავრცელებსო“, თქვით, ბატონო ვალტერ, ისე, როგორც იქ ამბობდით, ზღვაზე, ზვიად გამსახურდიას სახელით, უთხარით ეს ზვიადსაც, რატომ არ ეუბნებით, არ გჯერათ, რომ ეს იქნება?

მე ახლა მოვდივარ თქვენთან, ისევ ვიდეოაპარატურით, (რაც იგივე თეთრი დროშაა), იქნებ მიმიღოთ და საქვეყნოდ თქვათ ეს? თქვენ ამით სრულიად საქართველოს, მთელი ქართველი ერის მადლიერებას დაიმსახურებთ.

ნუ აყვებით სხვათა ფანტაზიებს. გაიხედეთ თქვენს თავს იქით, გაიხედეთ იქით, სადაც ამდენხანს იდექით. იქ დამწვარი და იავარქმნილი თბილისია, იქ მთელი საქართველო დგას.

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲝᲡᲔᲤᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

ტელეჟურნალისტი.



# ირაკლი აბაშიძე

# ზარები 30-იანი წლებიდან

## (ორი ნაწყვეტი მოგონებებიდან)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ინტელიგენციის წრეებში გახშირდა მითქმა-მოთქმა იმის თაობაზეც, რომ ბოლო დროს მეტად გართულდა ურთიერთობა ორ კომუნისტს, რესპუბლიკის თავკაცსა და ვლადიმერ ჯიქიას შორის. ისედაც დაძაბულ ძველ ურთიერთობას ახლა ზედ დაერთო ზოგიერთი სხვა მეტად პირადული მომენტიც. ამ გართულებას, რასაკვირველია, კარგი არაფერი მოჰქონდა არა მარტო ჯიქიასთვის, არამედ მისი ახლობელი ადამიანებისათვის და მათ შორის პირველ რიგში პაოლო იაშვილის და ტიციან ტაბიძისათვის; მით უფრო როცა რესპუბლიკის თავკაცის ყურამდე მიაღწია პაოლო იაშვილის რუსულად თქმულმა პატარა ექსპრომტმაც „Была страна Иберия...“ (რაც გადმოსცემდა რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელის საზღვარგადასულ ამორალურ, ამურულ ცხოვრებას და რაზეც ბევრს ლაპარაკობდნენ მაშინდელ თბილისში. მე ჩემს ამ მოგონებაში ამაზე საუბარს ვვერდს ავუვლი-იქნებ ბევრი რამ აქ ჭორის დონეზეც იყო), ისევე, როგორც სტალინის ყურამდე მიაღწია მანდელშტამის გამქიქებელმა ლექსმა. ქვეყნის თავკაცი, მას შემდეგ, რაც მან პაოლო იაშვილი მოსკოვში ქართული დელეგაციის შემადგენლობაში წაიყვანა, მას თავის კაცად თვლიდა, იაშვილი კი, აგერ, ისევ ძველი მეგობრების, ჯიქიას, ელიავას, უკვე ხალხის მტრად გამოცხადებული ვინმე ძველი კომუნისტის აღნიაშვილის ერთგული მეგობარი დარჩა. (ჯიქიას იაშვილი მოსკოვშიც კი ჰყავდა წარგზავნილი რიონჰესის წარმომადგენლად თვეების მანძილზე).

შორეული შავი ღრუბელი სულ უფრო და უფრო ახლო მოიწევს პაოლო იაშვილის კუთვნილ ცის ნაჭერზე...

თუმცა ყველა ფიქრობდა, რომ საშიშროება უფრო მეტად სხვა მწერლებს, მათ შორის, ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიას მოელოდა და ვის ეგონა, რომ ეს საშიშროება პირველ ყოვლისა პაოლო იაშვილს და მიხეილ ჯავახიშვილს მიადგებოდა კარზე. ეს ბევრისთვის წარმოუდგენელი იყო. მიხეილ ჯავახიშვილიც სწორედ ერთი წლის წინ შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს; აკი თვითონაც, როცა მას კარზე მიადგნენ, გაოცებით უთქვამს მათთვის — მე ხომ ორდენოსანი ვარო. და მართლაც, მიხეილ ჯავახიშვილი ძალიან მიღებული კაცი იყო იმ ხანებში და არა მარტო მკითხველთა ფართო მასებში, განსაკუთრებით „არსენა მარაბდელის“ შემდეგ. დიახ, იგი იმ ხანებში, ნომერი პირველი რომანისტი იყო, ოფიციალურ და არაოფიციალურ დონეზეც. საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზეც 1934 წელს მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილთან ერთად, არამარტო სსრკ მწერალთა კავშირის ახლადარჩეულ გამგეობაში, არამედ მის პრეზიდიუმშიაც კი აირჩიეს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძესთან ერთად. (ეს საკითხი, თუ ვინ უნდა აერჩიათ საქართველოდან იქ, იმ ხელმძღვანელ ორგანოებში, რასაკვირველია, საქართველოშივე წყდებოდა). თუმცა იმ შავი წლის გაზაფხულზე მიხეილ ჯავახიშვილიც იმ მწერალთა რიცხვში მოექცა, რომელთაც რესპუბლიკის ხელმძღვანელის თქმით „თავიანთი ყოფაქცევა უნდა გადასინჯონო“.

იმ ტრაგიკული წლის მაისის თვეში რესპუბლიკის ხელმძღვანელმა უმაღლეს ტრიბუნაზე თქვა — დროა გონს მოეგოს უკვე ორმოც წელს გადაცილებული პოეტი პაოლო იაშვილით.

ჩანს, პოეტის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და საქმეს ვეღარაფერს შველოდა პოეტის გამოსვლა (სხვა ქართველ ცნობილ მწერლებთან ერთად) მიტინგზე იმ ტრაგიკული წლის დასაწყისში, როცა ჯიქიაც, ელიავაც უკვე რეპრესირებულნი იყვნენ. (იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1937 წლის № 1-2). ვერც მისი ლექსი ფრანგი მწერლის, ანტიკომუნისტის ანდრე ჟიდის წინააღმდეგ (კომუნიზმი და ანტიკომუნიზმი აქ უკვე აღარაფერ შუაში იყო).



ანდრე ჟიდი სწორედ ერთი წლით ადრე, 1936 წლის ივლისში ჩამოვიდა საქართველოში. ეს მაშინ თბილისში სენსაცია გახლდათ; უცხოელი კაცი მაშინ ჩვენში საერთოდ უცხო ხილი იყო და უცებ ანდრე ჟიდი — უგამოჩენილესი წარმომადგენელი დასავლეთის სამყაროს მხატვრული სიტყვისა. რასაკვირველია, მისი მასპინძლობა და გიდობა პაოლო იაშვილს და ტიციან ტაბიძეს დაევალა თვითონ მთავრობის მიერ და მათაც მთელი საქართველო მოატარეს სასურველ უცხო სტუმარს. ამ მოგზაურობაზე მაშინ, მახსოვს, ბევრს ლაპარაკობდნენ თბილისში, მათ შორის ზოგ კომიკურ შემთხვევაზეც. მაგალითად, საუბრობდნენ თუ როგორ გაოცებულა უცხოელი სტუმარი თელავის სასტუმროში, როცა საწოლში ღამით რაღაც წითელმა მწერებმა დილამდე არ დააძინეს, დილით კი რამდენიმე ეგზემპლარი ქაღალდში შეუხვევია საფრანგეთში წასაღებად, იქ უნდა შევისწავლოთო.

ანდრე ჟიდს ამ თავის მოგზაურობაზე მალე პარიზში გამოუქვეყნებია დღიურები, სადაც ბევრი რამ თავისი კრიტიკული შენიშვნაც უთქვამს; ეს წიგნი ჩვენამდე არ მოღწეულა და მასზე აქ მე ვერაფერს ვიტყვი. ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს სტუმრის მიერ ჩვენი ქვეყნის ნაკლისა და „ჩრდილოვანი მხარეების“ დანახვისათვის გაკიცხეს მისი მასპინძლები, გიდები, პაოლო იაშვილი და განსაკუთრებით ტიციან ტაბიძე, რომელიც ჟიდს თავის დღიურებში მოწმეებად დაუსახელებია. ერთი წლის შემდეგ კი მათ ეს მოწმეობა კიდევ უფრო საბედისწეროდ შემოუბრუნდათ.

თავისი უბოროტო გულუბრყვილობით ამ „ჩრდილოვან მხარეებზე“ ტიციან ტაბიძემ იქნებ კიდეც თქვა რაიმე ანდრე ჟიდთან და ამისთვის მას არავითარი მნიშვნელობა არ მიუცია. ტიციან ტაბიძის გულუბრყვილობასა და ალალ გულზე მე უფრო ვრცლად ვილაპარაკე მისდამი მიძღვნილ ჩემს წერილში „უჭკნობი პოეტური მემკვიდრეობა“.

ხმამაღალი ლაპარაკიც კი აღარ ისმოდა საქართველოს მწერალთა სასახლესა და ეზოში; იყო საიდუმლოებით მოცული ჩურჩული. ახლა ჩურჩულებდნენ უფრო ნიკო ლორთქიფანიძეზე, რომელიც იმ წინა დღეს ბათუმში სასამართლო პროცესზე თავის მეგობრად და თანამებრძოლად დაესახელებინა ბრალდებულ გრიგოლ ლალიძეს, მენშევიკების დროინდელ ქართველ მოღვაწეს. ნიკო ლორთქიფანიძეც იქვე უსიტყვოდ იდგა. პაოლო იაშვილი შუადღისას მოვიდა მწერალთა კავშირში. ხელში გაზეთებში შეხვეული თავისი დაშლილი თოფი ეჭირა, მისი ცნობილი ძვირფასი „ლებო“ (ერთ დღეს რომ კინაღამ სერგეი ესენინს აჩუქა, ის რომ თავმდაბლად არ შეჰპირებოდა, მოსკოვში დაბრუნებისთანავე სწორედ ასეთ თოფს ვიყიდიო) — გასაყიდად წამოვიღე, მაგრამ მონადირეთა კავშირში კაპიკები მაძლიესო — თქვა მან. მწერალთა კავშირის ბუფეტის გამგეს, რიფსიმეს, ვალი 7 მანეთი გადაუხადა და წავიდა. არავის მიუქცევია ყურადღება, რომ წასვლისას მას თოფი ხელში უკვე აღარ ეჭირა, სადღაც დატოვა და მწერალთა სასახლიდან იგი უკან უთოფოდ გაბრუნდა.

ამ საიდუმლო ჩურჩულში გაისმოდა სახელი პაოლო იაშვილისაც, რომელიც, როგორც ყველამ იცოდა, იმ დღეებში არაერთხელ იყო გამოძახებული უმაღლეს დაწესებულებებში და იქიდან ყოველთვის უსაზღვროდ აღელვებული ბრუნდებოდა. არავინ იცოდა, რაზე იყო იქ საუბარი რესპუბლიკის ხელმძღვანელთან; საუბარი კი, როგორც ჩანდა, იყო უკიდურესად მკაცრი და კატეგორიული; ასე იკითხება ეს პაოლო იაშვილის უკანასკნელ, თვითმკვლელობის წინა დღით ცოლისა და შვილისადმი დატოვებულ წერილებშიც. უკვე ყველა გრძნობდა, რომ ვლადიმერ ჯიქიასა და გიორგი ელიავას შემდეგ ჯერი პაოლო იაშვილზეც მოდგა, მაგრამ არავის მისი დახმარება არ შეეძლო და ამას ვერც ვერავინ ვერ მოიწადინებდა.

ამ ტერორს შეიძლება საუკუნის ტერორიც ეწოდოს. იგი ჯერ კიდევ 1905 — იან წლებში დაიწყო და თავის ზენიტს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს მიაღწია და შეიძლება ითქვას, მას შემდეგ არ შეწყვეტილა. კერპებისა და ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლამ, უსაზღვროდ შემტევმა ნიჰილიზმმა, ჯერ კიდევ ადრე, ჯერ კიდევ მანამდე გაშალა ფრთები და ქვეყანაზე შეიქმნა შიშის, თავის გადარჩენის, თავის არიდების, ჩაურევლობის სინდრომი. ერთი მაგალითი: ილია ჭავჭავაძის მეუღლემ, იმ ეროვნული ტრაგედიის შემდეგ ხომ ოცი წელიწადი იცოცხლა და როგორც ცნობილია, 1927 წელს გარდაიცვალა. რა ვიცით ჩვენ ამ წლებზე? ვინ ზრუნავდა ამ უბედურ ქალზე მთელი ამ ორი ათეული წლის მანძილზე? ვინ, რითი და როგორ ეხმარებოდა მას? მაშინ ჯერ კიდევ ხომ ცოცხალი იყო მე-19, მე-20 საუკუნის დიდი ქართული ინტელიგენცია? ან თუნდაც თვით ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობრები? ალბათ ზრუნავდნენ, როგორ არ ზრუნავდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, უკიდურესი კონსპირაციის პირობებში. ოფიციალურად 20-იან წლებში მხოლოდ ტიციან ტაბიძემ აღძრა ერთხელ მწერალთა კავშირიდან მთავრობის წინაშე ოლღა თადეოზის ასულისადმი დახმარების საკითხი.

ან კიდევ, ქართველი ინტელიგენციიდან არავინ იცოდა არაფერი ბერბიჭაშვილის არსებობის შესახებ? როგორ არა, იცოდნენ. მე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ოციან წლებში გამიგონია ბიძაჩემისგან (დედის ძმა) საქართველოში მეცნიერული, ევროპული, მევენახეობა-მეღვინეობის ერთი მამამთავრის, პროფესორ კონსტანტინე მოდებაძისგან — ის კაცი რომ დადის და საქვეყნოდ ტრაბახობს, თავადი ილია ჭავჭავაძე მე მოვკალიო, ამას რატომ არავინ აქცევს ყურადღებასო? ვინ გაბედავდა მაშინ, ამ საქმის წამოწყებას? ბიძაჩემი ცხრაასიან წლებში შვეიცარიაში სწავლობდა და თუმცა ილიას მკვლელობის ამბავში, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, საკმაოდ იყო ჩახედული — არც მას დაუძრავს სიტყვა ამ საქმეზე.

იმ საღამოს მწერალთა კავშირისკენ კრებაზე მიმავალს იგი თავისუფლების მოედანზე, კიროვის ქუჩის მოსახვევში შემხვდა, თავისი საყვარელი თეთრი „ტოლსტოვკით“ და „რაგოჟის“ ტუფლებით. მე იქით, ის აქეთ; შევჩერდით, ერთმანეთს მივესალმეთ — ცოტა რუსთაველზე გავლა მინდოდა მომესწროო, მითხრა, (მე მაშინ მეგონა, კრების დაწყებამდე მოსწრებაზე მეუბნებოდა) შემობრუნდა და წამოვიდა. სახე უსაზღვროდ ჰქონდა შეცვლილი; არ გამკვირვებია, რაც მას იმ დღეებში მღელვარება შეხვდა. ისიც ვიცოდი, რომ იგი იმ წინა დღითაც იყო „გამოძახებული“. მერე უცებ მკლავში ხელი ჩამჭიდა და თავისი ბოხი ხმით მოულოდნელად მკითხა — გეშინია ჩემს გვერდით სიარულიო? მე გაკვირვებით შევხედე — არა, კი არ გეწყინოს, მაგრამ გუშინ ბაბოსთან რომ მიდიოდი, მე ფანჯარაზე ვიყავი გადმომდგარი, შენ არ მომესალმეო. (პაოლოს გვერდით, ჯაფარიძის ქუჩაზე ჩემი და, ბაბო ცხოვრობდა, პაოლო № 7, ბაბო № 5 სახლში. მე, უცოლშვილო კაცი ჩემს დასთან ხშირად ვსადილობდი) — პაოლო, გუშინ მე ბაბოსათან საერთოდ არ ვყოფილვარ, რას ამბობ, რა შიშზე მეუბნები, აგერ ხომ გვერდით მოგყვები — მეთქი. — არა, მე ყველას დავუმტკიცებ, რომ ვაჟკაცი ვარო; ყველას დავუმტკიცებ... იმათაც, იმათაც... და მე მაშინ კარგად ვერ მივხვდი — ვის „იმათაც“ — რესპუბლიკის თავკაცებს, რომლებსაც იგი იმ დღეებში ხშირად ხვდებოდა, თუ უკვე რეპრესირებულ, უკვე დაღუპულ მის უახლოეს მეგობრებს — იგი თითქმის ძაგძაგებდა და არეულად ლაპარაკობდა, ამიტომაც ჩვენი საუბარი გზადაგზა ვერაფრით ვერ გაება, მეც ერთსა და იმავე ფრაზას ვიმეორებდი — პაოლო, შენს ვაჟკაცობას კიდევ მეტი მტკიცება რაღად უნდა-მეთქი. — არა, მე დავუმტკიცებ ყველას და „იმათაცო“... მერე გზად სხვა მწერლებიც შემოგვხვდნენ.

ჩვენ ერთად წავედით იმ საბედისწერო სხდომაზე.

მწერალთა კავშირში კრებაზე ცოტა დაგვიანებით მივედით. სხდომის დარბაზი მაინცდამაინც გადატენილი არ იყო. კრებას მხოლოდ მწერლები ესწრებოდნენ. იხილებოდა პოლიტიკური „სიფხიზლის“ საკითხი. სამარისებური სიჩუმით უსმენდნენ მწერლები ხელისუფლების წარმომადგენელს ტრიბუნაზე.

ერთხანს დარბაზში ნერვიულად იჯდა, მერე დარბაზიდან გავიდა. კრებაც დიდი ხნის დაწყებული არ იყო, რომ ამ სიჩუმეში გაისმა ის ჯოჯოხეთური ქუხილი ისეთი სიძლიერისა, როგორიც შემდეგ დიდ მსოფლიო ომში საჰაერო დაბომბვის დროს მსმენია ხოლმე და რომლებიც მე თავის მხრივ იქ, ომში, ყოველთვის ამ გასროლას მაგონებდნენ. ეს იყო გასროლა მისი საამაყო „ლებოს“ ორივე ლულიდან, ჩვენი სასახლის მეორე სართულზე, იმ საყვარელი თოფისა, რომელმაც, სამწუხაროდ, ახლაც, ისევე როგორც ყოველთვის, არ უღალატა.

ყველანი თავგზააბნეულები წამოვცვივდით, რა მოხდა? ვინ საით, ვინ საით. აფეთქება? მაგრამ სად? რისი? კედლებიც და ყველაფერიც თავის ადგილზეა. მაშ სად? და ამ დროს მეორე სართულიდან კიბეებზე ჩამორბის დამლაგებელი ქალი წივილ-კივილით — იაშვილი, იაშვილი!

სულ ხუთიოდე წუთში გაჩნდნენ ადმინისტრაციული დაწესებულების წარმომადგენლები და სასახლის კარებიც ჩაიკეტა. ისევ სამარისებური სიჩუმე, ახლა უფრო მეტი, ახლა უფრო სამარისებური. მხოლოდ ერთხელ გაისმა მიხეილ ჯავახიშვილის დაგუბული ხმა:

— ნამდვილად ვაჟკაცი ყოფილა, გეთაყვა!

და მე მხოლოდ ახლა მოვედი აზრზე თუ რას ნიშნავდა მისი სიტყვები ნახევარი, სულ ნახევარი საათის წინ:

— მე დავუმტკიცებ ყველას, რომ ვაჟკაცი ვარო!

„შენ, შენ დაეცი იმ წელს,

როცა საქართველოზე კაენის

სულის აღზევებამ გადისრიალა“.

ეს სტრიქონები ეკუთვნის იმ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს, რომელიც, როგორც 1989 წლის აგვისტოს „სახალხო განათლებაში“ პედაგოგი თენგიზ მდივანი თავის მოგონებაში წერს: „იქვე კუთხეში იდგა და გულამოსკვნით ქვითინებდა“... და რომელიც ამ ქვითინს თვითონაც კინაღამ თან გადაჰყვა, რომ არა მისი უახლოესი მეგობრები, მისი კეთილი „ცრუ მოწმეები“, პოეტი სიმონ ჩიქოვანი და ჟურნალისტი გიგა მებუკე.

მაგრამ მე ჩემს მკითხველს ახლა კიდევ უფრო მძიმე სტრიქონები უნდა შევთავაზო: დღემდე არ გამოქვეყნებულა პაოლო იაშვილის წერილები ცოლშვილისადმი, დაწერილი იმ ტრაგიკული ღამის წინა დღეს, 22 ივლისს. ისინი პირველად დღეს იკვლევენ გზას მკითხველთა გულებისაკენ, პაოლოს უსაყვარლესი ქალიშვილის, მედეა იაშვილის ნებართვით.

ჩემო შვილო, ჩემო კარგო მამიკო,

ჩემო სიხარულო და ბედნიერებავ, მედეა!

მაპატიე,

გემუდარები მაპატიე ეს უდიდესი დანაშაული შენს წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნის და ხალხის წინაშე.

მთელი ღამე არ მძინია, დაგჩერებოდი შენ მძინარეს, მაგრამ თავის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა და ვერც შენ გადამარჩინე.

არავის დააბრალო ჩემი სიკვდილი. გაიზრდები, დაუფიქრდები ჩემს ბედს და დარწმუნდები, რომ ჩემი სიკვდილი სჯობდა, შენ უფრო უბედური იქნებოდი, რომ მე დღეს თავი არ მომეკლა. გიყვარდეს დედა და ყველა ჩემი ახლობელი, ისინი აღარ დაგტოვებენ არც ერთი წუთით, და რამოდენიმედ მაინც გაგიადვილებენ ობლობას.

მეტის წერა აღარ შემიძლიან.

მშვიდობით მამიკო.

მედეა, მედეა, მშვიდობით.

ისწავლე, იშრომე, ყოველთვის მართალი სთქვი, ეცადე სასახელო ქალი გამოხვიდე, გიყვარდეს სამშობლო, მუდამ გახსოვდეს შენი ახლობლები და შენი მამა.

შენი უსაზღვროდ მოყვარული მამა.

22.VII.37.

Дорогая, любимая Тамара!

Прощай. Перед смертью чувствую особую любовь к тебе. Рад твоим успехам в институте и уверен, что ты будешь полезным человеком для нашего общества. Береги здоровье, лечись. О Медее нечего тебе писать, я убежден, что ты из нее сделаешь настоящего человека.

Причина моей смерти – невозможность соединить имя поэта с теми оскорблениями, которые мне нанесли люди, с которыми я дружил и которые действительно (я в этом вполне убежден) оказались врагами грузинского народа.

Тебе будет очень трудно, но мужайся, я убежден, тебе помогут воспитать нашу дорогую и горячо любимую дочь, наше счастье и радость, Медею.

Когда выйдешь замуж, старайся, чтобы Медея не охладела к моим родным и близким.

Прости мне мои ошибки.

Я тебе все прощаю.

Целую крепко, крепко.

Твой искренний друг

П.Яшвили

22.VII.37.

Тбилиси

Умираю с каким-то светлым чувством, и поэтому верю, что ты и Медея перенесете горе. Ты кое-что

заметила, но я тебя смог успокоить. Береги себя и Медею. Дружи с Пашей и с моими братьями. Привет Н.Мих. и Георгию Ильичу.

Паоло.

დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული

და ხალხი ამბობს:" ეს კაცია ლექსის მწერალი",

მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული

ეს ჩემი ტვინი დასაქცევი, ტვინი ვერანი".

და ეს (ალბათ კოშმარულ სიზმარში ნანახი) სტრიქონები აღმოხდა მას წინასწარ, ზუსტად ათი წლით ადრე, 1927 წელს.

არა ბუნდოვნად და ზოგადად, არამედ სავსებით ნათლად და კონკრეტულად მახსოვს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში 1921 წელს. თუმცა, რასაკვირველია, ათი-თორმეტი წლის ჭაბუკს პოლიტიკისა არაფერი გამეგებოდა (არც ახლა ვაცხადებ ამ საქმის გაგებაში რაიმე პრეტენზიას), არც ჩვენს ოჯახში გაეგებოდა ვისმე ამ საქმეში რამე. მე მხოლოდ შიგადაშიგ იმ დროინდელი, ყოველდღიური, ცხოვრებისეული, ყოფითი, კონკრეტული მოვლენები მახსენდება ხოლმე,ჩვენს მიყრუებულ პროვინციაში. დიდი ქართველი პოლიტიკოსი და მოაზროვნე ზურაბ ავალიშვილი კი გვამცნობს თავის წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში": საქართველოს მთავრობა ამ ქვეყნის ბელადებს გააზრებული ჰქონდათ როგორც დემოკრატიული მთავრობა — საბჭოთა წყობილებისაგან განსხვავებით.

სინამდვილეში კი საქართველო ჯერ სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოთხოვნებს. ამ დემოკრატიის გარეგნული ფორმებით აქ იფარგლებოდა საქართველოს სოც.-დემ. პარტიის დიქტატურაო".



და ქვემოთ:

„ამასთან, საქართველოს მთავრობის ამგვარი ხასიათი თანდათანობით კი არ სუსტდება, არამედ უფრო და უფრო ღრმავდება"-ო.

და იქვე:

„საქართველოს მთავრობა გზის დასასრულს ისეთ ვიწრო ლავგარდანზე აღმოჩნდა, რომ მისი ძირს გადაძახება ერთი წკიპურტით გახდა შესაძლებელიო."

რა და როგორი იყო „წკიპურტი"? მეორეს მხრივ? მაგრამ რადგანაც ამის მოგონება უკან ძალიან შორს წაგვიყვანდა, (და ეს აქ არც ჩვენი საქმეა) პირიქით, ორიოდე წუთით წინ გადმოვხტეთ, ორმოცდაათიან წლებში, ნიკიტა ხრუშჩოვის ეპოქაში და გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი , რომელიც ბევრს რასმეზე მეტყველებს:

ორმოცდაათიან წლებში რუსეთის ლიტერატორთა და ხელოვანთა წრეებში ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ მთავრობის უმაღლეს დონეზე საბჭოთა ინტელიგენციის მიღებებსა და შეხვედრებზე, რომელიც იმჟამად ზედიზედ რამდენიმეჯერ ჩატარდა კრემლსა და უმაღლეს ხელმძღვანელთა აგარაკებზე ქალაქგარეთ, მოსკოვიდან ასიოდე კილომეტრის დაშორებით.

ყველა ამ მიღებისა და შეხვედრის მონაწილე მეც გახლდით და თავის დროზე მეც მათზე ქართულ პრესაში გამოვაქვეყნე ჩემი მოგონებები ისევე როგორც რუსულ პრესაში ილია ერენბურგმა, ანდრეი ვოზნესენსკიმ, ვლადიმერ ტენდრიაკოვმა და სხვებმა; (განსაკუთრებით იმ პირველ ყბადაღებულ შეხვედრაზე, ნიკიტა ხრუშჩოვის აგარაკზე რომ გაიმართა და მე ჩემს იმ მოგონებას დავარქვი „შეხვედრა დიდ აგარაკზე, ანუ უკანსვლა წინამძღოლისა", რადგანაც სწორედ იმ შეხვედრის დროს ნიკიტა ხრუშჩოვმა — პარტიის XX ყრილობაზე პიროვნების კულტის აღიარებულმა გამომჟღავნებელმა — ანდრეი ვოზნესენსკის თქმით —"дал задный ход"

სწორედ იქ, იმ აგარაკზე, როცა სუფრას შემოვუსხედით, ნიკიტა ხრუშჩოვმა მაგრად გადაჰკრა და, ტენდრიაკოვისა არ იყოს — Покатил вдоль по питерской со всей русской удалью" მილეწ-მოლეწა აქეთ მარიეტა შაგინიანი, იქით მარგარიტა ალიგერი და, აი, სწორედ ამ სუფრაზევე თქვა მან ასეთი რამ:-ჩვენ, პოლიტბიუროს წევრები, ახლა ბევრს ვმოგზაურობთ ჩვენს ქვეყანაშიც და უცხოეთშიც; აგერ ახლა მე და ბულგანინი ინდოეთშიც ვიყავით და სიქჰების ქვეყანაც ვნახეთ (მართლაც, [illegible] შუქდებოდა მაშინ გაზეთებში ეს მათი ვიზიტი ინდოეთში და სიქჰებთან მათ ჩასვლაზეც იყო „პრავდაში" დიდი რეპორტაჟი „на земле сикхов"), ვმოგზაურობთ, მაგრამ საქართველოში ჯერაც არ ვყოფილვარო.

-ნიკიტა სერგის ძევ, — მიმართა ანასტას მიქოიანმა. წავიდეთ, მე ვიქნები თქვენი მეგზურიო.

ხრუშჩოვმა გადახედა და — განა საქართველოში საერთოდ არ ვყოფილვარ, ერთხელ კი ვიყავიო, მაგრამ ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ, 1921-ს, გასაბჭოების წელსაო; მაგრამ მაშინ ქართველებმა ძალიან ცუდად მიმიღესო (მერე გავიგე, ქუთაისელ ბიჭებს უცემიათ რიონის პირას, რესტორან ჯაჭვის ხიდთან, ალბათ, იმავე მდგომარეობაში, როგორც, აგერ, ახლა იყო, უკვე მაგრად მთვრალი).-როცა შემდგომში ერთხელ ამ ცუდად მიღების შესახებ მე სტალინს ვუამბე, მან სიცილით მითხრა: აბა, კარგად როგორ მიგიღებდნენ, შენ ხომ ოკუპანტად იყავი იქაო. აქ ხრუშჩოვი წუთით შეჩერდა და მერე მთელი ხმით იყვირა: —да, товарищи, я оккупировал Грузию"-ო. მე მიკოლა ბაჟანს გადავხედე; მიკოლა ბაჟანი ხმას ვერ იღებდა. ის ხომ ჩემზე უფრო კარგად იცნობდა ხრუშჩოვს, უკრაინის ყოფილ თავკაცს წლების მანძილზე.

ასე, თავისივე პირით გაამხილა საბჭოთა ინტელიგენციის იმ ისტორიულ ბანკეტზე, 1957 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა საქართველოს გასაბჭოების ძველი ისტორია. (თუმცა მთელ საქართველოს ოკუპაციას მაშინ, 1921 წელს ნიკიტა ხრუშჩოვს ვინ მიანდობდა — კიროვისა და ორჯონიკიძის წითელ არმიაში რომელიღაც ქვეგანაყოფის „პომპოლიტი", ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „პომპოლიკი" ყოფილიყო).

# საქართველოს უკან მადაგასკარია!




ალბათ, ყველას, კარგად ახსოვს, როგორ მოიხსენიებდნენ ჩვენს ყოფილ პრეზიდენტს მისი ოპონენტები - „ჩაუშესკუ, ჩაუშესკუ." ვის აღარ ადარებდნენ - ჰიტლერს, კიმ ირ სენს, „დუჩეს", ჰუსეინს, მისი გაქცევის შემდეგ კი ფერდინანდ მარკოსისა და ალა-მაჰმად ჰანის ლანდებიც შეაწუხეს არცთუ ულოგიკო პარალელების გავლებით. მოკლედ, წარსულისა თუ აწმყოს თითქმის არც ერთი ტირანი და დიქტატორი არ მიუტოვებიათ უყურადღებოდ.

მაგრამ ერთი მაინც გამორჩათ — დიდიე რაცირაკა, მადაგასკარის პრეზიდენტი. შედარებით უფროსი თაობის მკითხველებს იგი უკეთ ემახსოვრებათ — ეს სწორედ ის რაცირაკაა, თავის დროზე ბრეჟნევისა და მთელი საბჭოთა ხალხის დიდი მეგობარი რომ იყო და შემდეგ კი კარგა ხნით რომ გაქრა ჩვენი თვალსაწიერიდან. ამიტომაც, დარწმუნებულნი ვართ, საინტერესო იქნება დღეს მასთან შეხვედრა.

გაზეთმა „ზა რუბეჟომ" ბოლო ნომერში გამოაქვეყნა ფრანგულ ჟურნალ „პარი-მატჩიდან" გადმოთარგმნილი მასალა, რომელიც მადაგასკარის, ამ შორეული აფრიკული კუნძულის, დღევანდელ მდგომარეობას ეხება. მოვიყვანთ ორიოდე მოკლე ციტატას, რომელთა გაცნობის შემდეგაც თქვენ, პატივცემულო მკითხველებო, ნამდვილად უკეთ გაუგებთ მალაგასიელებს. მაშ, ასე, „პარი-მატჩი" კუნძულის ცხოვრების ასეთ სურათს ხატავს:

„ქალები წინ სხდებიან, პირდაპირ ასფალტზე და სახეებს მცხუნვარე მზისგან ჭრელი ქოლგებით იფარავენ. მამაკაცები, უმეტესად ჩალის ქუდებში, მათ უკან იკავებენ ადგილს და ორატორთა მგზნებარე გამოსვლებს ყურადღებით უსმენენ. ზაფხულის შემდეგ ანტანანარივუს ეს მოედანი უზარმაზარ სახალხო ფორუმად იქცა. ეს მოხდა ხუთი თვის შემდეგ, რაც პრეზიდენტს - ადმირალ რაცირაკასა და გაერთიანებულ ოპოზიციას შორის შეურიგებელი დაპირისპირება წარმოიშვა."

„პრეზიდენტი ოპოზიციას, რომელიც მის დაუყოვნებლივ გადადგომასა და გარდამავალი პერიოდის გამოცხადებას მოითხოვდა, თავისი სასახლის ბუნკერში დაემალა. რაცირაკას მოწინააღმდეგეთა მოთხოვნებში შედის აგრეთვე კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ეროვნული სახალხო ყრილობისა და უმაღლესი რევოლუციური საბჭოს ( ქვეყნის მმართველი ორგანოების) დასათხოვნად რეფერენდუმის მოწყობა და ამის შემდეგ — ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები."

შემდეგ „პარი-მატჩი" ვრცლად მიმოიხილავს მადაგასკარზე შექმნილ მდგომარეობას — სოციალისტური იდეების ფაქტიური განხორციელების გამო მზარდ ეკონომიკურ კრიზისს, საწარმოთა გაჩერებას, სიღარიბეს, შიმშილს და ყველაფერ ამის მიზეზს ასახელებს — ქვეყნის ეკონომიკის მართვა ერთი პიროვნების განუზომელი კონტროლის ქვეშ იმყოფება „მის გარეშე მადაგასკარზე არც ერთი ეკონომიკური ხელშეკრულება არ იდებაო" — აღნიშნავს ჟურნალი, და დასძენს: „ამ ეკონომიკური ურჩხულის სათავეში პრეზიდენტის ცოლისდა, ქალბატონი ორტანსი დგასო"...

რაც შეეხება მადაგასკარზე მოვლენათა შემდგომ განვითარებას, ამის შესახებ ჟურნალი არაფერს იუწყება, მეტიც, ჩვეულებრივი პროგნოზის გაკეთებასაც ვერ ბედავს, იმიტომ რომ არ იცის, მართლა არ იცის რა მოხდება უახლოეს მომავალში. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით?! ვიცით და ამით ვამაყობთ კიდეც. ვიცით, რადგან ეს ყველაფერი ჩვენ ჩვენს თავზე უკვე გადავიტანეთ, ხოლო ვამაყობთ, რადგან მსოფლიოში ბოლოსდაბოლოს აღმოჩნდა ქვეყანა, რომელსაც ჩვენ რამდენიმე კვირით მაინც ვუსწრებთ წინ — იქ ხომ პრეზიდენტი ჯერ კიდევ ბუნკერში ზის... და არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ეს ქვეყანა შორეული აფრიკის სამხრეთის ცივილიზაციას მოწყვეტილი კუნძულია, ჩვენ კი უძველესი კულტურის ერი — ვილაცაზე წინ ხომ მაინც ვართ!

ამიტომაც ნუ შევანელებთ ტემპს — უკან მადაგასკარია!

თენგიზ გოგოტიშვილი

# ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული

## (ინტერვიუ ბატონ ჯემალ ქარჩხაძესთან)

**— ბატონო ჯემალ, გაზეთ „დედამიწის“ გასული წლის 22 სექტემბრის ნომერში ხაზგასმით მიუთითებდით „ორ, დაპირისპირებულ საქართველოს“ — თქვენი ტერმინია, — შორის მოსალოდნელ სისხლისღვრაზე, სამოქალაქო ომზე, რომ „ქართველ ერს, დღევანდელ თაობას შთამომავლობა ამას არ აპატიებს“.**

**რას ეტყოდა დღეს — დატრიალებული სისხლისღვრის, ომის შემდეგ — შთამომავლობას ბატონი ჯემალ ქარჩხაძე, ჩვენი თაობის ერთ-ერთი, არარიგითი წარმომადგენელი? როგორ აუხსნიდა, რითი გაამართლებდა იმას, რაც მოხდა?**

— ის, რაც 22 სექტემბერს ითქვა, ვალის მოხდა უფრო იყო, ფორმალური გაფრთხილება, გნებავთ, ერთგვარი „ფორმალური ჰუმანიზმიც“, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში ყველაზე ბნელი ძალა მოვიდა იმათ შორის, ვინც შეიძლებოდა მოსულიყო, სხვისი არ ვიცი და მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სისხლისღვრას ვერ გადავრჩებოდით. ამის გარანტი თავად ხელისუფლება იყო. ხელისუფლებამ, თუ უკან დახევა არ ძალუძს, სისხლი უნდა დაღვაროს. ასეთია ლოგიკა და კანონზომიერება. დღეს, ცხელ გულზე, იმის ახსნა, რაც მოხდა და რაც დაგვემართა, ძნელია. ბრძოლის ველიდან ბრძოლა ცუდად ჩანს. ბრძოლა გვერდიდან ჩანს კარგად. ჩვენ შეგვიძლია მშვიდად ვილაპარაკოთ, ვთქვათ, ბაზალეთზე, მაგრამ საკუთარ ბრძოლაზე მშვიდად ვერ ვილაპარაკებთ. შთამომავლობა თავად უკეთ შეაფასებს ჩვენს ნამოქმედარს. და როცა ისტორია ბრალს დაგვდებს — ხოლო ბრალს რომ დაგვდებს, ეს უეჭველია — ბრალს დაგვდებს არა იმაში, რომ ტირანია ძალით დავამხეთ, არამედ იმაში, რომ ტირანიას აღზევების საშუალება მივეცით, მშვიდად ვადევნებდით თვალს (ძალიან რბილად რომ ვთქვათ, თორემ ობიექტურად და მიუდგომლად თუ ვილაპარაკებთ, ხელიც შევუწყეთ, გზაც გავუკაფეთ და ფიანდაზებიც დავუფინეთ) მის აღმასვლას. ამ ბრალდებას ვერცერთი ჩვენთაგანი ვერ გავექცევით. ეს მთელი ერის დანაშაულია. თუ უფრო არსებითად ვილაპარაკებთ, აქ გარკვეული ფსიქოლოგიური კანონზომიერებაც იჩენს თავს: ჩვენ ხომ ახლომხედველი ხალხი ვართ და უბედურებას მაშინღა ვამჩნევთ, როცა მისი არიდება ძალზე ძნელია. მაგრამ ეს ჩვენი ხასიათი და ჩვენი ბედისწერაა და რაკი ბედისწერას ვერ ვაჯობეთ, შეიარაღებული აჯანყების გარდა სხვა გზა უკვე აღარ გვქონდა: მეტისმეტად მაღალი ტემპით მივექანებოდით უფსკრულისაკენ. ჩვენი მდგომარეობა გამოუვალი იყო, დიქტატურა ძალზე სწრაფად იკრებდა ძალებს. მოსახდენი უნდა მომხდარიყო და ადრე თუ გვიან უეჭველად მოხდებოდა. ოღონდ ეს კია, რაც უფრო დაგვიანდებოდა, მით უფრო მძიმე იქნებოდა შედეგი. მე კარგად მესმის, რაოდენ ძნელია — ალბათ, არაკორექტულიც — თანამედროვის ამგვარი განცხადება თანამედროვეთა წინაშე, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ გამორიცხული არ არის, ყოველივე ეს ეროვნული ცნობიერების შეგნებული აქტი იყო: ზნემორღვეულმა ერმა მთელი ქაფი, მთელი ჭუჭყი მთელი უწმინდურება თავზე მოიგდო, რათა ერთბაშად მოეხადა. ოღონდ აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოებაც: განსხვავებით ორმოცდათექვსმეტი წლის მარტისაგან და ოთხმოცდაცხრა წლის აპრილისაგან, ამჯერად ჩვენ საკუთარი უგუნურობის მსხვერპლი შევიქენით. ეს ისეთი ლაქაა, რომელსაც გამუდმებით უნდა ვგრძნობდეთ, რათა, შეძლებისდაგვარად, გაკვეთილად გამოგვადგეს. თორემ, თუ ერთი ვთქვით, ვაი სირცხვილოო, და ჩვენი სინდისის ქენჯნაც ამით დამთავრდა, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ჩვენს სულში ახალი ბოროტება იწყებს ძალების მოკრებას. ამიტომ როგორმე უნდა შევძლოთ, რომ ყოველი ჩვენგანი პიროვნულ დანაშაულს გრძნობდეს. დღეს ჩვენ ყველანი მკვლელები ვართ და, თუ ამას შევიგნებთ, ალბათ, შთამომავლობაც შეგვიწყნარებს და იტყვის: მათ სხვა გზა არ ჰქონდათ და ცოდვაში ჩადგეს ფეხი, რათა ჩვენ ცოდვისაგან ვეხსენით.

**— სამიოდე თვის წინ პირად საუბარში შენიშნეთ, ჩვენი ერი რომ გამოფხიზლდეს, სულიერად განიწმინდოს, რაღაც დიდი უბედურება უნდა მოხდესო. უბედურება მოხდა, სისხლი დაიღვარა...**

**როგორ ფიქრობთ, დაიწყო, მოხდება ეს გამოფხიზლება, განწმენდა? მე პირადად, რომ ვუყურებ, თუ რაოდენ ადვილად, მსუბუქად მიიღო, აიტანა (და, სულო ცოდვილო, ლამის გადაიტანა კიდეც უკვე) ჩვენმა საზოგადოებამ ეს დიდი ტრაგედია — ათობით დახოცილი, ასობით დაჭრილი, თბილისის გულის განადგურება, და რაც მთავარია, ძმათაშორისი ომის ფაქტი — ეჭვი მეპარება ამაში.**

— ვერ გავიზიარებ თქვენს პესიმიზმს. ჩემი აზრით ეს სიმსუბუქე მოჩვენებითია. სინამდვილეში საზოგადოება ღრმა დეპრესიაშია (აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს სამარცხვინო ომი ჯერაც არ დამთავრებულა). მოვლენები უკანასკნელ წლებში ისეთი სისწრაფითა და ინტენსივობით ვითარდებოდა, რომ ჩვენ, არსებითად, ოთხმოცდაცხრა წლის აპრილის შემდეგ ვერ მოვასწარით კალაპოტში ჩადგომა. დღევანდელი ფსიქოლოგიური — ალბათ ფსიქიურიც — მდგომარეობა მე ისეთი მგონია, როცა ჭირი მომხდარის სრულად აღქმა და გაცნობიერება, როცა უბედურება ცრემლს აშრობს, როცა თავზარდაცემა ადამიანს აოგნებს და გაოგნებული ადამიანი ინდიფერენტული გვეჩვენება. მე იმედი მაქვს, რომ ტრაგედია ამჯერად განწმენდის დაწყების მანიშნებელიცაა. ასეთი რამ ტყუილუბრალოდ არ ხდება. ესეც არ იყოს, ბოლოსდაბოლოს, ჩვენ არაფერი არ გვაიძულებდა ეს საშინელი ნაბიჯი გადაგვედგა, გარდა ჩვენი ეროვნული ღირსების გრძნობისა და თავისუფლების წყურვილისა. როცა ქვეყნის ისტორიაში ასეთი რამ ხდება, იგი ხედვის სხვადასხვა კუთხიდან უნდა გაისინჯოს. ჩვენ ცოდვა დავიდეთ, მაგრამ ღირსება გადავირჩინეთ. ჩვენ ერთმანეთის სისხლი დავღვარეთ, მაგრამ ერთმანეთის თავისუფლება ვიხსენით. ასეთი ცნებები — ცოდვა, ღირსება, სისხლი, თავისუფლება... — ერთად თავმოყრილი ძნელი გადასახარშია, ძნელი მოსანელებელი და არ შეიძლება გამაოგნებლად და დამთრგუნველად არ მოქმედებდეს. ტრაგედია ნახტომის მომასწავებელია (ცხრა აპრილსაც ხომ ისეთი ნახტომი გავაკეთეთ, რომ პოლიტიკურად ლამის ყველაზე ჩამორჩენილი ერი ერთბაშად მოწინავეთა შორის აღმოვჩნდით). ჩვენი დღევანდელი ტრაგედია კი განსაკუთრებულიცაა. ერთი მხრივ, დიდი სირცხვილი ვჭამეთ, მეორე მხრივ დიდი რწმენა მოვიპოვეთ. და თუ არც ერთს დავივიწყებთ და არც მეორეს, ვფიქრობ, ამას ზნეობრივი აფეთქებაც უნდა მოჰყვეს. და თუ ასე არ მოხდა, თუ ამ ტრაგედიის შემდეგაც ვერ დავადექით ზნეობრივი განწმენდისა და აღორძინების გზას და ჭეშმარიტი თავისუფლების — ერთიმეორის თავისუფლების — დამცველებად ვერ ვიქეცით, მაშასადამე ჩვენი უზნეობა უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე ის უბედურებაა, რომელსაც იგი უნდა გაეწონასწორებინა; მაშასადამე, ჩვენს მიერ დაღვრილი სისხლი ჩვენს უზნეობას ჩამოსარეცხად არ ეყო. მე ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ საქართველოში, სადაც განვითარებას ყოველთვის ფეთქებადი და ნახტომისებური ხასიათი ჰქონდა, ზნეობრივი განწმენდისათვის ტრაგედია უნდა მოხდეს. და თუ დღევანდელმა ტრაგედიამ საამისოდ არ იკმარა, უნდა ვიფიქროთ, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, წინ ახალი, უფრო დიდი ტრაგედია შეგვეყრება.

**— თქვენს შესანიშნავ, სამწუხაროდ, ჩვენი კრიტიკის ყურადღების მიღმა დარჩენილ რომანში „ქარავანი“, ნათქვამია, რომ „ეპოქის ნიშნები არაფერს არ წარმართავს. ეპოქის ნიშნები მხოლოდ იმას აშიშვლებს, რაც არსებითი და თანდაყოლილია“.**

**თქვენი აზრით, გასულმა წელმა — დამეთანხმებით, ეს წელი მთელი ეპოქა იყო, — ჩვენი ხალხის, ჩვენი ყოფიერების რა არსებითი თვისებები და თავისებურებები გააშიშვლა? და საერთოდ, რას იტყოდა მოკლედ ქართულ ხასიათზე მწერალი ჯემალ ქარჩხაძე, რომლის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი სწორედ ამ ხასიათის კვლევას, ჩხრეკას, ანალიზს ეთმობა?**

— შეკითხვის მეორე ნაწილზე ასე თუ ისე მკაფიო და დასრულებული პასუხის გაცემა არც მოკლედ მოხერხდება და არც ვრცლად. ერის ხასიათი ჭრელი და წინააღმდეგობრივია, თუმცა, ალბათ, შესაძლებელია რამდენიმე ფუნდამენტური თვისების დასახელებაც, რომელთა ერთობლიობა გარკვეულ ეროვნულ სპეციფიკას წარმოქმნის. ჩემი აზრით ეს თვისებებია სიზარმაცე, გონებამახვილობა და დაუოკებელი შემოქმედებითი მუხტი (ამ თვალსაზრისით ჩვენი გენეტიკური კოდი შესაძლოა ყველაზე მკაფიოდ ნაცარქექიას სახეშია გაცხადებული). მე მესმის, რომ ამ თვისებების ჩამოთვლა იგივეა, რომ არაფერი თქვა, ვინაიდან თითოეულ ამ თვისებას იმოდენა ამპლიტუდა აქვს, ეშმაკიდან ღმერთამდე იშლება. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ სხვა, უფრო კონკრეტული ნიშანთვისებები ამ სამი თვისების კომბინაციათა ნიადაგზე აღმოცენდება. ხოლო ამპლიტუდის რომელ დანაყოფზე დგას ისარი კონკრეტულ ეპოქაში, ეს მართლაც დიდადაა დამოკიდებული ეპოქის ნიშნებზე.

გასულ წელს, საერთოდ, უკანასკნელ ხანებში, მრავალი თვისება გაშიშვლდა და გამოიკვეთა. მე მხოლოდ ერთზე შევჩერდები, რომელიც ძალზე სიმპტომატური მგონია. ეს გახლავთ გონების სიზანტე, რაც სრულად გამოიხატა ჩვენს განსაცვიფრებელ პოლიტიკურ გულარხეინობაში. ქვეყნის ბედი რომ დაუფიქრებლად ჩავაბარეთ ადამიანებს, რომელთაც არ ვიცნობდით, ამას ბევრი პოლიტიკური მოუმწიფებლობით ხსნის. პოლიტიკურად, ცხადია, მოუმწიფებლები ვართ (ან კი სად და როდის უნდა მოვმწიფებულიყავით!), მაგრამ მე არა მგონია მიზეზი ეს იყოს. ჩემი აზრით მიზეზი სწორედ გონების სიზანტეა, რაც განსაკუთრებით და, მე ვიტყოდი, ტრაგიკულად გამომჟღავნდა, როცა დამოუკიდებლობის აქტი იქნა მიღებული და ოფიციალური ხელმოწერები, თითქოს ეს დამოუკიდებლობის აქტი კი არა რაღაც საოჯახო ალბომი ყოფილიყოს, ავტოგრაფებით აღმოჩნდა დამშვენებული. ნებისმიერი საკუთარი თავის პატივისმცემელი ერი ამის პასუხად განგაშს ასტეხდა. მით უფრო იმ ერს უნდა აეტეხა განგაში, რომელიც ამ დღეს ორი საუკუნე ელოდა. ყველაფერი ის, რაც მერე და მერე ესოდენ ჭუჭყიან ტალღად აგორდა და საბოლოოდ სამარცხვინო სისხლისღვრამდე მიგვიყვანა, უკვე ჩადებული იყო ამ უხამს სიმბოლოში. ეს იყო სიმბოლო იმისა, რომ ერი პატივაყრილია. ეს იყო სიმბოლო იმისა, რომ პარლამენტი დასაჭურისებულია. ეს იყო სიმბოლო იმისა, რომ საქართველო ვიღაცამ დალუქა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. პარლამენტს ღირსება არ აღმოაჩნდა, ერს კი, რომელმაც ეს პარლამენტი აირჩია, დაეზარა იმის გაცნობიერება, თუ რა მოხდა მის თავს. ჩვენ ხომ ავირჩიეთ! აწი თვითონ იფიქრონ! ამის შემდეგ საქართველოში მოულოდნელი არაფერი იყო. მე თუ მკითხავთ, ვინც გამსახურდიას რეჟიმს იცავს, სწორედ იმიტომ იცავს, რომ გამსახურდიას რეჟიმი საშუალებას იძლეოდა ტვინი საამოდ გვქონოდა დაბუჟებული, არავინ გვაიძულებდა გონებისთვის ძალა დაგვეტანებინა და ისეთ მძიმე საქმეს, როგორიცაა აზროვნება, საკუთარი ძალებით შევჭიდებოდით. ჩვენს მაგიერ „მესია“ აზროვნებდა.

**— დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ „ზვიად გამსახურდიამ ორად გაყო ერი, სოფელი ქალაქს დაუპირისპირა, კუთხე — კუთხეს“. ვითომ მხოლოდ ერთ კაცს, რაოდენ დიდი ავტორიტეტი და ძალაუფლებაც არ უნდა ჰქონოდა მას, შეეძლო ამის გაკეთება? და აქვე, რას იტყოდით, როგორ შეაფასებდით ბატონ ზვიად გამსახურდიას პიროვნებას?**

— ერთ კაცს, რა თქმა უნდა, არაფერი შეუძლია. თესლი თუ შესაფერის ნიადაგში არ მოხვდა, ისე ვერ აღმოცენდება. მაგრამ აქ მრავალი გარემოება დაემთხვა ერთმანეთს — ნიადაგიც, თესლიც, მთესველიც, მთესველის ანტურაჟიც, იდეაც, მისიაც... ისე კარგად დაემთხვა, რომ ბოროტება, რომელიც შესაძლოა ბოროტების იმპერიის ნარჩენებს წარმოადგენდა, ვერც თავშესაფრად და ვერც პლაცდარმად საქართველოზე უკეთეს ადგილს ვერ იპოვიდა. მარტო კაცი ვერაფერს გახდებოდა, მაგრამ ჩვენ ხომ აქ ვიყავით! ჩვენ ყველანი ვეხმარებოდით, მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, ყველანი მუხლჩაუხრელად ვმუშაობდით, რათა ბოროტებას ისე ეგრძნო თავი, როგორც საკუთარ სახლში, ხოლო ჩვენთვის კი, ჩვენს გაუბედურებულ გრძნობად სამყაროში, კლასიკურ დიქტატურად გაცხადებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ასეთი რამ შეუძლებელია. ჩვენ ჩვენის მხრივ, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. მესიად შევრაცხეთ, შესაფერისი მოციქულებიც შევუქუჩეთ (როცა ამ დღეების ისტორია დაიწერება, ამ ისტორიაში, ალბათ, ქრესტომათიულ მაგალითად შევა ის ფაქტი, რომ ქართველებმა, რომელთაც არჩევანი ჰქონდათ გასაკეთებელი ნიკო ჭავჭავაძესა და ნუგზარ მოლოდინაშვილს შორის, ნიკო ჭავჭავაძეზე უარი თქვეს და ქვეყნის ბედის გადაწყვეტა ნუგზარ მოლოდინაშვილს მიანდეს. მანაც, ცხადია, გადაწყვიტა, და ეს მხოლოდ ერთი მაგალითია მრავალთა შორის), და ყოველგვარი პირობები შევუქმენით იმისათვის, რომ წარმატებით შედგომოდა საქართველოს აოხრებას. შეუდგა კიდეც. მოციქულთა ერთი ნაწილი იდეოლოგებად იქნენ გამწესებულნი და, თუ სადმე აზრი ჭაჭანებდა, ცდილობდნენ დროზე ჩაექროთ, რათა სიბნელეში რომ იპარპაშებდა, სინათლეს თვალი არ მოეჭრა. მხოლოდ ასე ერთობლივი ძალით შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა. მაგრამ ყველაფერი მაინც ვერ იქნა გათვალისწინებული. კერძოდ, გათვალისწინებული ვერ იქნა ის, რომ საქართველოში, თუ ეს მხოლოდ საქართველოზე იქნა დამოკიდებული, დიქტატურა ვერ იხარებს. ამ კუთხით თუ შევხედავთ, გამსახურდიას საბედისწერო შეცდომა იყო არა გვარდიის დაშლა, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არამედ გვარდიის შექმნა, ვინაიდან სრულიად წარმოუდგენელია, რომ იმ მისიის განხორციელებაში, რომელიც მას დაკისრებული ჰქონდა, რამდენიმე ათასი ბიჭი ბოლომდე გვერდით დგომოდა. გვარდიის სახით პრეზიდენტმა რისხვა შექმნა, რომელიც ადრე თუ გვიან მასვე დაატყდებოდა თავს. ხოლო ორ სექტემბერს, როდესაც თოფი გვესროლა, საკუთარ თავს საბოლოო განაჩენი გამოუტანა. ამის შემდეგ იგი მხოლოდ ნომინალურად იყო პრეზიდენტი, ყველაფერი უკვე დროის საქმეღა იყო.

რაც შეეხება პიროვნულ დახასიათებას, ეს საქმე ისტორიას მივანდოთ, მით უფრო, რომ მე პირადად არ ვიცნობ და არ შეიძლება ამის გამო რამე არ დავაკლო. კაცი რომ სწორად დაახასიათო, ისეთ ბუნებრივ და უშუალო გარემოში უნდა გყავდეს ნანახი, როგორშიაც ახლახანს უცნობი (იქნებ ნაცნობიც, მე არ ვიცი) ოპერატორის წყალობით ნემო ბურჭულაძე ვნახეთ. ერთი რამ კი შეიძლება მკაფიოდ და დაბეჯითებით ითქვას: ზვიად გამსახურდია ოდიოზური ფიგურა არ არის. ოდიოზური ფიგურა ვერ გაბედავდა მთელი საქართველო გაეწირა იმისათვის, რომ მამის ჩრდილიდან გამოსულიყო.

**— „ქარავანში“ ერთ-ერთი პერსონაჟის პირით აღნიშნავთ, რომ „დღესდღეობით ჩვენ არც ისეთი ზნედაცემული ერი ვართ, რომ მაცხოვარი ვზომოთ“.**

**რას იტყოდით დღეს ჩვენში მიმდინარე ქრისტიანობის „ბუმზე“? ხომ არ გეჩვენებათ, რომ ერთგვარ „მოდად“, „კარგ ტონად“ იქცა ქრისტიანობაზე ლაპარაკი? ხაზს ვუსვამ, ლაპარაკი.**

— ამ კითხვაზე ერთი-ორჯერ უკვე მომიხდა პასუხის გაცემა და მას შემდეგ აზრი არ შემიცვლია. ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერჯერობით ათეისტური საზოგადოებაა. ქრისტიანობა რწმენაა და არა რიტუალი. არ შეიძლება ერთი ხელით პირჯვარს იწერდე და მეორე ხელი მოყვასის ჯიბეში გქონდეს ჩაცურებული. ამაზე არ თქმულა, შენმა მარჯვენამ არ უნდა იცოდეს რასა იქმს შენი მარცხენაო. არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ქრისტიანიც იყო და კერპთაყვანისმცემლობასაც ქადაგებდე. ვიდრე გულში სიძულვილი გვიდგას, მანამ ქრისტიანები ვერ ვიქნებით. არ შეიძლება ეკლესია გწამდეს, ღმერთი კი არ გწამდეს. საერთოდ, დღეს, გონების ზეობის ჟამს, ბრმა რწმენა, მით უმეტეს, ფორმალური რიტუალი, სიბნელისაკენ მიმავალი გზაა.

**— დღეს ერთობ აქტიურად განიხილება, ლამის პრაქტიკულ ჭრილშიც დადგეს საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარების საკითხი. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს? რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ ეს იდეა?**

— იდეა ჩემთვის სრულიად მიუღებელია. თავად საკითხის დასმაც კი კურიოზი მგონია. ჯერ ერთი, დინასტიები იმიტომ კი არ იცვლებოდნენ, რომ ვიღაც ახალი მოვიდოდა და ძველს დაამხობდა. ეს მხოლოდ ტექნიკური მხარეა, იდეა და მიზეზი უფრო ღრმა ფენებში დევს. გვარი ამოწურავს თავის შესაძლებლობებს, დინასტია იფიტება და მისი შეცვლა კანონზომიერი აუცილებლობაა. ასე იყო ყველგან და ყოველთვის და ნუთუ ბაგრატიონი ისეთი განსაკუთრებული გვარია, რომ ქვეყნიერების აღსასრულამდე შეუძლია იმეფოს?! ესეც არ იყოს, თუ კონკრეტულად ვილაპარაკებთ ტახტის პრეტენდენტებზე (ისინი მგონი სამნი არიან და რაკი ერთ ტახტზე სამივეს ვერ დავსვამთ, უკვე შუღლი და კინკლაობა ჰქონიათ), ან არ იცნობენ საქართველოს, ან იცნობენ. თუ არ იცნობენ, საკვირველია, როგორ აძლევენ თავს უფლებას მეფედ წავიდნენ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც არ იცნობენ. თუ იცნობენ, ის არის საკვირველი, ნორმალურმა კაცმა საქარველოს ტახტის გულისთვის დალაგებული ცხოვრება როგორ უნდა აიწეწო და სიცოცხლე როგორ უნდა გაიმწარო (მით უფრო, რომ არც გზები გვივარგა ავტორბოლისთვის)?! დაბოლოს, ჩვენი პოზიციიდანაც შევხედოთ — ამ გაჩანაგებულ ქვეყანას კიდევ მეფე და სამეფო კარის ხარჯები უნდა? ანდა ჩვენს ისედაც უკიდურესად თეატრალიზებულ ყოფას ახალი ბუტაფორიის დამატება ნუთუ რამე სიკეთეს მოუტანს? თუმცა, მე მგონია, რეალურად და სერიოზულად საკითხი არც დადგება. ან მომავალი მეფეები მიხვდებიან, რომ მეფეს საქართველო არ სჭირდება, ან ჩვენ მივხვდებით, რომ საქართველოს მეფე არ სჭირდება.

**— ისევ „ქარავნიდან“ უნდა მოვიყვანო ციტატი: „ჩვენი ხნის ერებმა თავიანთი საქმე დიდი ხანია მოითავეს. ჩვენ კი ისიც ვერ გავიგეთ, ჩვენი საქმე რა არის. საქართველო ისეთი ხომალდი გამოდგა, რომელშიც შემოქმედს საჭის ჩამონტაჟება დაავიწყდა“.**

**დღეს თუ მაინც გავიგეთ (გავიგებთ), ბატონო ჯემალ, თუ რა არის ჩვენი საქმე? გამოჩნდა (გამოჩნდება) ჩვენი ხომალდის საჭეც?**

— თქვენს მიერ მოტანილი ციტატი პერსონაჟს ეკუთვნის და მე მას ბოლომდე არ ვეთანხმები. კერძოდ, არ ვეთანხმები იმაში, თითქოსდა შესაძლებელია შემოქმედს რამე დაავიწყდეს. ჩემი აზრით, ხომალდს საჭე კი აქვს, მაგრამ არა იქ, სადაც ჩვენ ვეძებთ. ჩვენ ჩვენი მოუთოკავი ეროვნული ამბიციების გამო (სწორედ ეს იყო გამსახურდიას რეჟიმის საყრდენიცა და დემაგოგიური იარაღიც) გვგონია — და ეს აზრი მთელ თაობებს ბავშვობიდან ჰქონდათ შესისხლხორცებული, შეიძლება ითქვას, დედის რძესთან ერთად ვიწოვდით ამ აზრს — თითქოს საქართველოს რაღაც განსაკუთრებით მაღალი ისტორიული მისია აკისრია, და ხომალდის საჭესაც ამ მისიის შესაბამისად ისეთ სფეროებში დავეძებთ, სადაც მისი ჭაჭანება არ არის. და ვიდრე გვჯერა, რომ ქართველი ყველაზე ვაჟკაცია, ყველაზე ნიჭიერი და ყველაზე რაინდი, რომ ქართველი ქალი ყველაზე ლამაზია, ყველაზე კდემამოსილი და ყველაზე გონიერი, რომ საქართველო ედემია და წალკოტი, რომ ღმერთმა სწორედ ჩვენ დაგვაბერტყა კალთა, რომ განკითხვის დღეს ყველანი ჩვენს ენაზე ილაპარაკებენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მანამ საჭეს ვერ ვიპოვით და ჩვენი ხომალდის გეზიც შემთხვევით ზვირთებზე იქნება დამოკიდებული. მე არ ვიცი, რა არის ჩვენი მისია, ან გვაქვს თუ არა, საერთოდ, რაიმე „სპეცმისია“, იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ უმჯობესია დავთქვათ: დღესდღეობით ჩვენი, თუ მისია არა, ამოცანა კი არის, ვიყოთ ჩვეულებრივი, რიგითი სახელმწიფო სხვა ჩვეულებრივ, რიგით სახელმწიფოთა შორის, ერთი რიგითი სახე და ფერი ქვეყნიერების ხალიჩაზე, რიგითი, ოღონდ ისეთი კი, რომლის გარეშე ხალიჩა თავისი ბრწყინვალების ნაწილს დაკარგავდა. თუ ამაზე როგორმე შევთანხმდით, საჭესაც ვიპოვით და მეგობრებსაც. ყველაფერი ჩვენზე და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

ესაუბრა
ფელიქს კოჭიაშვილი

15 იანვარი, 1992 წელი

ინდექსი 66447
ფასი 2 მან.
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი